შაბათი 30 აგვისტო 1919 წ.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: ამიერ-კავკასიის კოოპერ. კავშირს „კავშირისთვის“

წელიწადი მესამე

ფასი 6 მან.

# კავშირი

## ორგანო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა

№ 21—22 ყოველ კვირეული საკოოპერაციო ჟურნალი. № 21—22

დაუბეჭდავ საჟურნალო მასალას რედაქცია არ ინახავს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

**შინაარსი:** 1) კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში—ს. კ—ძე. 2) საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის დამოკიდებულება—ა. კოლიკაშვილი. 3) კოოპერაცია და პროფესიონალური მოძრაობა. 4) კორესპოდენციები. 5) ოქმი ზუგდიდის კოოპერატიულ ყრილობისა (დასასრული)—კანვინ. 6) ფელეტონი: ქუდბედიანი—ვასილ ბარნოვი; გზა და გზა—ერთი იმათგანი. 7) დადგენილებანი ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირისა. 8) ამიერ-კავკას. კოოპ. კავშ. ბალანსი. 9) კოოპერაცია მთიულეთში და ხევში—მ. მაისურაძე. 10) ქრონიკა.

6119

საქართველოს კოოპერატიული ბანკის
წესდება უკვე დაამტკიცა ფინანსთა მინისტრმა

აქციების

შეძენა შეუძლია მხოლოდ
კოოპერატიულ დაწესებულებებს

აქცია ღირს 1000 მანეთი.

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
Академия наук

## 30 აგვისტო 1919 წელი.

უაღრესათ კრიტიკული ხანა, რომელიც დამახასიათებელია მთელი ჩვენი დროების და რომლიდანაც ვერც ერთ ქვეყანას ჯერ თავი ვერ დაუხწევია, სრულიად განსხვავებულ და მეტათ უჩვეულო პირობებში აყენებს ჩვენს კოოპერაციას. თუ წინათ კოოპერაცია ცდილობდა შექრილიყო ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, რომ შეძლებისდა-გვარათ გაევლო თავისი კვალი, ახლა მას სთავაზობენ, ხელში აჩეჩებენ და თავს ახვევენ მრავალ ისეთ საქმეს, რომელიც მის მოქმედების გეგმაში, პრაქტიკულათ მაინც, არასოდეს არ შედიოდა. თუ წინად, ცოტათ თუ ბევრათ მწყობრ, მაგრამ მაინც აბობოქრებულ ცხოვრების ზღვაში, ის ცდილობდა გამოენახა თავისთვის მცირე კუნჭული, საიდანაც უნდა ეწარმოებინა მეტ წილათ იდეური ხასიათის საქმიანობა, ეხლა მას ძალუმათ ეზიდებიან სწორეთ ცხოვრების ცენტრისკენ, რათა მან აქ აწარმოვოს უაღრესათ პრაქტიკული საქმიანობა. თუ წინათ ის თავის იდეურ-ორგანიზაციული განმტკიცების თვალსაზრისით გულდასმით ერჩეოდა—როგორი მონაწილეობა მიეღო ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაში, ეხლა ასეთი არჩევანი აღარ არსებობს; მის წინ გზა ფართო და გზა ხსნილია, და ცხოვრების ობიექტიური მიმდინარეობა ხელთ აძლევს მას მესვეურის როლს.

მძიმეა ეს პირობები, მაგრამ ეს ასეა არა მარტო კოოპერაციისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, მთელი კაცობრიობისთვის. ავათ თუ კარგათ ამ პირობებს დაძლევა უნდა, ამისთვის კი დიდი ენერგია, გამჭრიახობა და თავდადება საჭირო. ძველი მასშტაბით მოქმედება, ტრადიციული აზროვნებით ხელმძღვანელობა ფონს ვერ გაგვიყვანს. აქ საჭიროა ახალი იდეა, ახალი პრაქტიკა, საჭიროა მათი მჭიდროთ შედუღება, პრაქტიკული მოქმედების იდეით გაშუქება, იდეის სისწორის პრაქტიკით შემოწმება, საჭიროა მათი ყოველდღიური შეხამებული ზრდა-განვითარება. შესძლებს თუ არა ამას ჩვენი კოოპერაცია? ეს მან უნდა შესძლოს.

უმთავრესი პირობა ამ მხრით კოოპერაციის წარმატებით მოქმედებისა არის **შეგნებულათ** წასვლა იმ გზით, რომელიც ისტორიის ტრიალს დღეს მისთვის შეუქმნია. კოოპერაციამ უნდა შეიგნოს სიდიადე მის წინ წამომდგარი კითხვებისა და მთელი თავისი ძალებით მიაშუროს ყველა იმ სამოქმედო დარგებს, რომლებიც დღეს სრულიად მოშლილი, არეულ-დარეული და განადგურებულია.

არა უკან ჩანჩალი სტიქიურათ მიმდინარე მოძრაობისა, არამედ შეცნობა მისი საერთო ხაზისა და შესაფერი მოქმედების შეგნებულ-დარაზმულათ წარმოება,—აი რა ევალება ჩვენს კოოპერაციას დღეს ცხოვრების ყოველ დარგში. საერთო არევ-დარევამ კოოპერაციის მოქმედების ტრადიციული მიზნებიც დაანგრია და დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ კოოპერაციამ ამ მიზნების აღდგენას დაახარჯოს თავისი ენერგია. დღეს ამისი დრო არ არის, ეს არც მიზან-შესაფერია. რაც შეიძლება ფართო, ყოველმხრივი და შეგნებული მოქმედება, როგორც მეურნეობაში, ისე კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობის დარგში,—აი რა ევალება დღეს ჩვენს კოოპერაციას.

---

## კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში.

(მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა სამომხმარებლო კოოპერაციისა).

კოოპერატიულმა მოძრაობამ ჩვენში საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო მხოლოდ 1912 წ. ამ წლიდან იწყეს აქა-იქ დაარსება მომხმარებელთა კოოპერატივებისა. 1915 წელში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ითვლებოდა შვიდამდე კოოპერატივი. დასავლეთ საქართველოში ამავე წელში არსებობდა დაახლოებით ერთი ორად მეტი აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ კოოპერატივების რიცხვთან შედარებით. თვალსაჩინოთ კოოპერატივთა რიცხვი გაიზარდა 1916 წელში. ამავე წელში დაარსდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი, რომელმაც გარს შემოიკრიბა ყველა არსებული მომხმარებელთა კოოპერატივები. 1916 წლის დამლევისათვის კავშირში აღმოსავლეთ საქართველოდან ირიცხებოდა წევრად 83, ხოლო დასავლეთ საქართველოდან 90, სულ—173 მომხმარებელი კოოპერატივი. თუ მივიღებთ სახეში, რომ აღნიშნულ წლიდან უკვე დაიწყო საქონლის კრიზისი და ცალკე კოოპერატივები ვეღარ შოულობდენ საქონელს გარეშე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, რის გამოც ყველა არსებული კოოპერატივი იძულებული იყო ჩაწერილიყო წევრად კავშირში, ამიტომ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში 1916 წელში სულ არსებობდა 173 მომხმარებელი

კოოპერატივი. აქვე მოგვყავს ცხრილი კოოპერატივთა რიცხვის ზრდისა.

| | აღმოსავლეთ საქართველოში | დასავლეთ საქართველოში | სულ |
|---|---|---|---|
| 1916 წ. | 83 | 90 | 173 |
| 1917 „ | 217 | 298 | 515 |
| 1918 „ | 334 | 557 | 891 |

წევრთა რიცხვი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ცნობების მიხედვით იზრდებოდა ამ გვარათ:

| | აღმოსავლეთ საქართველოში | დასავლეთ საქართველოში | სულ |
|---|---|---|---|
| 1916 წ. | 31.955 | 34.650 | 66.605 |
| 1917 „ | 142.367 | 118.245 | 260.612 |
| 1918 „ | 220.730 | 244.115 | 464.845 |

თუ მივიღებთ სახეში, რომ თვითეულ ოჯახიდან კოოპერატივში წევრად ეწერება ერთ-ერთი წევრი ოჯახისა, ხოლო თვითეულ ოჯახში ვივარაუდებთ საშუალოთ ოთხ სულს, ამგვარად, მომხმარებელთა კოოპერატივებში შეკავშირებულ მცხოვრებთა რიცხვი იქნება შემდეგი:

| | აღმოსავლეთ საქართველოში | დასავლეთ საქართველოში | სულ |
|---|---|---|---|
| 1916 წ. | 127.820 | 138.600 | 266.420 |
| 1917 „ | 567.468 | 472.980 | 1.042.448 |
| 1918 „ | 882.920 | 973.260 | 1.856.180 |

ამგვარად, ამა 1919 წლის დასაწყისისთვის, მომხმარებელთა კოოპერატივებში შეკავშირებული ყოფილა 1.856.180 სული მცხოვრები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამავე წლის დასაწყისისთვის ითვლებოდა აღმოსავლეთ საქართველოში 1.488.037, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1.025.891, სულ ერთად 2.513. 928 სული მცხოვრები *) და ამ რიცხვს შევადარებთ კოოპერატივებში შეკავშირებულთა რიცხვს, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა კოოპერატიულად შეკავშირებული 59,4 პროც. მცხოვრებთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში—94,8 პროც. მთლად საქართველოში კი 73,8 პროც. ინტერესს არ არის მოკლებული მომხმარებელთა კოოპერატივების საქონლის ბრუნვის და ბალანსის ციფრები. ამიერკავკასიის ინსტრუქტორთა მიერ შეგროვილ ცნობების მიხედვით, კოოპერატივებს გადაუბრუნებიათ შემდეგი ჯამის საქონელი:

| | აღმოსავლეთ საქართველოში | დასავლეთ საქართველოში | სულ |
|---|---|---|---|
| 1916 წ. | — | — | — |
| 1917 „ | 26.248.103 | 32.109.500 | 58.357.603 |
| 1918 „ | 104.190.966 | 54·076.345 | 158267311 |

ბალანსის ციფრები უდრის:

| | აღმოსავლეთ საქართველოში | დასავლეთ საქართველოში | სულ |
|---|---|---|---|
| 1916 წ. | — | — | — |
| 1917 „ | 7.424.458 | 6709.768 | 14134226 |
| 1918 „ | 17.447.514 | 18.070.194 | 35517708 |

ზემოთ მოყვანილი ციფრები თვალ-ნათლივ გვიხატავენ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია და რა გავლენა მოუპოვებია სულ მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ს. კ—ძე.

*) მცხოვრებთა რიცხვის ცნობები ამოღებულია 1917 წ. კავკასიის კალენდრიდან. 1917 წ. მცხოვრებთა რიცხვზე მისულია 1 პროც. ბუნებრივი ზრდა მცხოვრებთა რიცხვისა.

## საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის დამოკიდებულება.

—:—

ამას წინად პარიზის საგანგებო კონფერენციაზე რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლების მიერ დაისვა საკითხი რუსეთის და საქართველოს კოოპერაციის დამოკიდებულების შესახებ. ამ საკითხის შესახებ უკვე რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩვენს პერიოდულს გამოცემებში და გამოითქვა ორგვარი შეხედულება აღნიშნულ დამოკიდებულების შესახებ. რადგანაც საკითხი მეტად სერიოზულია და ამასთანავე ჯერ კიდევ გამოურკვეველი, ამიტომ გადავსწყვიტეთ ჩვენს ჟურნალში დავუთმოთ ადგილი წერილებს ამ საკითხის შესახებ. საჭიროა, რაც შეიძლება მეტმა გამოსთქვას თავისი შეხედულება დასმულ სა-

კითხზე, რათა ყოველ მხრივ იქმნეს იგი გაშუქებული. მოკლე ხანში უნდა მოხდეს საერთაშორისო კოოპერატიული კონფერენცია; ამიერ-კავკასიის კავშირს გადაწყვეტილი აქვს მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე წარმომადგენელის გაგზავნით. საჭიროა, როგორც კავშირს, აგრეთვე წარმომადგენელს გარკვეული შეხედულება ჰქონდეთ საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის დამოკიდებულების შესახებ, რაშიაც მათ, იმედია, დაეხმარება ამ საკითხზე ჟურნალში მოთავსებული წერილები.

ქვემოდ ვუთმობთ ადგილს ერთ-ერთ მიმართულების წერილს.

## I.

საკითხი საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის დამოკიდებულების შესახებ ჩვენს კოოპერატიულს ცხოვრებაში საჭირ-ბოროტო საკითხადაა ქცეული და ამიტომ ყოველმა კოოპერატორმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის გამორკვევაში.

სანამ შევუდგებოდე ჩემი შეხედულების გამოთქმას ამ საკითხის შესახებ, საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო, რომ ჩვეულებრივ მიღებული აზრი, ვითომ კოოპერაციასა და პოლიტიკის შორის არა იყოს რა საერთო, შემცდარ აზრად მიმაჩნია. კოოპერაცია ეკონომიური ორგანიზაციაა. დღეს კი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები ერთი ერთმანეთზე ისეა დაკავშირებული, რომ მათი გამოცალ-ცალკევება ყოვლად შეუძლებელია. თუ ეს ასეა, ცხადია, წინადადება რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლებისა საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის დამოკიდებულების შესახებ უნდა განხილულ იქნეს უპირველესად იმ მხრივ, თუ რა გავლენას იქონიებს ეს დამოკიდებულება საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

განვიხილოთ ჯერ, თუ რაში გამოიხატება რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლების წინადადება და როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება საქართველოს და რუსეთის კოოპერაციისა. აღნიშნულმა წარმომადგენლებმა თავიანთ წინადადებას წარუმძღვარეს რუსეთის კოოპერაციის სიძლიერე და სიდიადე. იგინი აღნიშნავენ, რომ რუსეთის კოოპერაცია უკვე ცნობილია საერთაშორისო ბაზარზე, რომ მას მოსკოვის „ცენტროსოიუზის“ და მოსკოვისავე სახალხო ბანკის საშუალებით მოწყობილი აქვს ევროპის დიდ ქალაქებში საგენტოები და კონტორები, რომელთა საშუალებითაც მუდმივი კავშირი აქვს უცხოეთის ბაზართან, რომ მას დიდი ნდობა აქვს დამსახურებული და საკმაო გამოცდილება აქვს აღებ-მიცემობაში. რუსეთის კოოპერაციის ასეთ სიძლიერეს უპირდაპირებენ საქართველოს კოოპერაციის უღონობას. რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენელნი აღნიშნავენ, რომ საქართველოს კოოპერაცია ახალგაზრდაა, რომ მას ევროპის კოოპერაცია არ იცნობს. მას არც კი აქვს საშუალება გააცნოს თავისი თავი ევროპას, ვინაიდან დღეს საქართველოს კოოპერაცია ვერ შესძლებს გახსნას ევროპის ქალაქებში თავისი საგენტოები და კონტორები. ამის საშუალებაც რომ ჰქონდეს საქართველოს კოოპერაციას, იგი დღევანდელს პირობებში მაინც ვერ შესძლებს ამის განხორციელებას. ასეთი მდგომარეობის გამო საქართველოს კოოპერაცია, რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლების აზრით, ვერ შესძლებს მუშაობას,—ვერ იშოვის საჭირო კრედიტს, ვერ შეიძენს უცხოეთის ბაზარზე საქონელს და ვერც საქონლის ფარდვას შესძლებს. ამ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს კოოპერაციას შეუძლიან თავისი დანიშნულების შესრულება რუსეთის კოოპერაციის საშუალებით, რომელსაც შეუძლიან მიაწოდოს საქართველოს კოოპერაციას საჭირო საქონელი და გაუხსნას საკმაო კრედიტი. ეს დახმარება, რასაკვირველია, სავსებით მისაღები იქნებოდა, რომ რუსეთის კოოპერაცია ჩვენთვის მიუღებელ კომპენსაციას არ ითხოვდეს ჩვენგან. და აი, რაში გამოიხატება ეს კომპენსაცია: ყველა ჩამოთვლილ დახმარებაში რუსეთის კოოპერაცია ითხოვს საქართველოს კოოპერაციისაგან, რომ ეს უკანასკნელი, საკუთრივ, თავისი სახელით არ გამოვიდეს საერთაშორისო ბაზარზე, რომ მან არ შექმნას ევროპის ქალაქებში თავისი საგენტოები და თავისი წარმომადგენლობა მთლად გადასცეს რუსეთის კოოპერაციას. აი სწორეთ ეს პირობაა ჩვენი კოოპერაციისთვის მიუღებელი. ასეთ წინადადებიდან აშკარად სჩანს ძველი შეხედულება, თითქოს საქართველო ისევ რუსეთის ნაწილს შეადგენდეს და მაშასადამე საქართველოს კოოპერაცია კიდევ—რუსეთის კოოპერაციის ნაწილს. ეს რომ მართლა ასე იყოს, სხვაფრივ არც შეიძლებოდა, რადგანაც სათითაოდ გამოსვლა ბაზარზე ორი ერთ და იმავე მთელის ნაწილებისა ერთგვარ მეტოქეობას შექმნიდა და ეს დაუშვებელი იქნებოდა კოოპერატიულის მოსაზრებით. დღეს სულ სხვა პოლიტიკური მდგომარეობაა—საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენს და არა ნაწილს რუსეთისას,

და მისი კოოპერაციაც დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს, როგორც საერთაშორისო კოოპერატიულ სარბიელზე ისე ევროპის ბაზარზე. იგი საკუთარის სახელით უნდა შევიდეს საერთაშორისო კოოპერატიულ ოჯახში, როგორც სრულ-უფლებანი წევრი და ამ გვარათ გაიწალდოს გზა მომავლისთვის. თუ საჭირო იქნება რომელიმე ქვეყნის კოოპერაციასთან კავშირის დაჭერა, ვამბობთ კავშირის დაჭერა და არა გათქვეფა, როგორც რუსეთის კოოპერაციას აქვს განზრახული, იგი უნდა შეუკავშირდეს იმ ქვეყნის კოოპერაციას, რომელიც საქართველოს ბუნებას და ჰავას უფრო ენათესავება, როგორიც მაგალითად არის იტალია, და არა ისეთი ქვეყნისას, რომლის ბუნებრივი პირობები სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენენ საქართველოსთან შედარებით. ამ მოსაზრების გარდა, საქართველოს კოოპერაციას არ შეუძლიან დათანხმდეს რუსეთის კოოპერაციის წინადადებაზე კიდევ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ოდნავ და ატარებს კოოპერაციის სახეს. იგი დღევანდელ საბჭოთა მართველობის წყალობით გადაქცეულია სახელმწიფო სასურსათო ორგანოთ.

ამ გვარად შეუძლებლად მიმაჩნია რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლების წინადადების მიღება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს კოოპერაცია მართლაც დაადასტურებს თავის უმწეობას. აქედან კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები გამოიყვანენ ისეთ დასკვნას, ვითომ მას არ შეეძლოს დამოუკიდებლად არსებობა და არ შესწევდეს ძალ-ღონე საკუთრივ არსებობისათვის. მეორე მოსაზრება აღნიშნულ წინადადების უარის მყოფი არის ის, რომ რუსეთის კოოპერაციამ დაჰკარგა კოოპერაციის ნიშან-წყალი. ამიტომ საჭიროა, ჩვენი კოოპერაცია საკუთრივ გამოვიდეს საერთაშორისო კოოპერატიულ ასპარეზზე და ავად თუ კარგად თავის საქმე თვითონვე მოაგვაროს. იმედია, სხვა ქვეყნების კოოპერაცია თანაგრძნობით შეხვდება და დახმარების ხელს გაუწვდის თავის უმცროს ძმას—დამოუკიდებელ საქართველოს დამოუკიდებელ კოოპერიციას.

**ა. კოლიკაშვილი.**

# კოოპერაცია და პროფესიონალური მოძრაობა.

(თარგმანი რუსულით).

საკითხი კოოპერაციის და პროფესიონალურ მოძრაობის ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების შესახებ ეკუთვნის მეტად რთულ და დღემდის ჯერ კიდევ ნაკლებად გამორკვეულ პრობლემებს. რომ ეს საკითხი ცოტათ თუ ბევრათ დამაკმაყოფილებლად გადავსწყვიტოთ, საჭიროა გამოვარკვიოთ ბუნება როგორც ერთის, აგრეთვე მეორე ტიპის ორგანიზაციებისა და მათი შინაგანი თვისებანი. რა არის კოოპერატივი და რით განსხვავდება იგი პროფესიონალურ კავშირისაგან? განმარტებანი კოოპერაციისა ბევრი არსებობს, მაგრამ არც ერთი მათგანი დამაკმაყოფილებელი არ არის. ყველაზე უფრო სწორი განმარტება შემდეგია: **კოოპერატივი არის ნებაყოფლობითი შეკავშირება რამოდენიმე პირისა იმ მიზნით, რომ საერთო ძალ-ღონით ებრძოლონ კაპიტალის ექსპლოატაციას და გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა სამეურნეო სიკეთეთა წარმოებისა და განაწილების პროცესში, როგორც მწარმოებელთა და მომხმარებელთა, ანუ როგორც სამუშაო ძალის გამყიდველთა.**

აქ მოყვანილი განმარტება კოოპერატივისა განსხვავდება ჩვეულებრივად მიღებულ განმარტებებისაგან, რომლებიც უპირველეს ყოვლისა კოოპერატივში ჰხედვენ წარმოებას, მაშინ, როდესაც კოოპერატივი არსებითად არის ასოციაცია, კავშირი. მართალია, მომეტებული ნაწილი მათი აწყობს სხვა და სხვა წარმოებას, მაგრამ ისეთი ასოციაციაც კი, რომელსაც ეს არ მოეპოვება, არ ჰკარგავს უფლებას იწოდებოდეს კოოპერატივათ, თუ იგი აკმაყოფილებს სხვა პირობებს, ე. ი. ისახავს სამეურნეო მიზნების მიხწევას და აქვს ანტიკაპიტალისტური თვისება. ამ შეხედულებას ძლიერ უახლოვდება ის განმარტება, რომელიც არის ახალ კოოპერატიულ კანონში. ეს კანონი წარმოადგენს ნამუშევარს რამოდენიმე კომისიისას, რომლებიც ამორჩეული იყო სრულიათ რუსეთის კოოპერატიული ყრილობის მიერ მოსკოვში (1908 წ.), პეტროგრადში (1912 წ.) და კიევში (1913 წ.).

თანახმათ ამ კომისიის § 1, კოოპერატიულ ამხანაგობათ ითვლება ამხანაგობა ცვალებადი შემადგენლობით და თანხებით, რომელიც მოქმედობს რა განსაკუთრებული ფირმით, მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრების ქონებრივ და სულიერ წარმატებას სხვა და სხვა გვარ სამეურნეო წარმოებათა და შრომის ორგანიზაციის საშუალებით.

მაგრამ რა ამხანაგობანი არიან ისეთები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებას პირდაპირის მნიშვნელობით, და რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ თვის წევრთა მატერიალურ და სულიერ კეთილ-დღეობას, მათი შრომის საერთო ორგანიზაციის საშუალებით? პასუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ იმავე §-ის შემდეგ აბზაცში, სადაც მოყვანილია სანიმუშო სია ამხანაგობათა, რომლებიც ითვლება კოოპერატივებათ; აქ საკრედიტო, შემნახველ-გამსესხებელ, დამზღვევ, საადგილ-მამულო, სააღმშენებლო და სხვა ამხანაგობათა შემდეგ დასახელებულია „შრომის და საბირჟო და სხვა ამგვარი ამხანაგობანი“.

არ ვიცი სახელდობრ სხვა რომელი მინაგვარი ამხანაგობა ჰქონდათ სახეში კანონ-პროექტის ავტორებს, მაგრამ მე კი მგონია, რომ აი სწორეთ აქ უნდა ჰქონდეთ მიჩნეული ადგილი მუშათა პროფესიონალურ კავშირებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ ხელი შეუწყოს წევრთა მატერიალურ და სულიერ კეთილ-მდგომარეობას არა სხვა და სხვა გვარ წარმოების მოწყობით, არამედ მათი შრომის ორგანიზაციით. მე ვგონებ, რომ ზემო-აღნიშნულ ჩამოთვლაში პროფესიონალურ კავშირებს უნდა ეჭიროთ ადგილი შრომის არტელების შემდეგ და საბირჟო არტელების წინ, რადგანაც ამ უკანასკნელთა კოოპერატივობა მე საეჭვოდ მიმაჩნია ან და მათი კოოპერატივობა, ყოველ შემთხვევაში, მინიმალურია.

მართალია, რუსეთში რევოლიუციამდე მოქმედ 1906 წ. 4 მარტის კანონით პროფესიონალური კავშირები ეკუთვნოდენ წესდებითი საზოგადოებათ, ე. ი. შეკავშირებებს, რომლებიც ისახავდენ საზოგადო სასარგებლო მიზნებს და, რომლებიც ცდილობდენ ხელი შეეწყოთ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ბუნების განვითარებისათვის ისევე, როგორც საქველმოქმედო, გასართობ, გიმნასტიურ, სამხატვრო, სამეცნიერო და სარწმუნოებრივ ორგანიზაციებს. მაგრამ ეს, ეჭვს გარეშე, გაზვიადებაა, რაიც აიხსნება რუსეთის ცხოვრების განსაკუთრებული თვისებებით ისევე, როგორც იმავე საზოგადოებათ ეკუთვნოდენ მომხმარებელთა კოოპერატივებიც. რადგანაც პროფესიონალურ კავშირებს საფუძვლად უდევს ზრუნვა თავის წევრთათვის უმთავრესად მატერიალური სარგებლობის მოტანაზე, გადიდება წევრთა შემოსავლის (შრომის ძირის), ამიტომ იგინი უნდა ეკუთვნოდენ არა საზოგადოებათ, არამედ ამხანაგობათ, და სახელდობრ იმგვარ ამხანაგობათ, რომელთაც ანტიკაპიტალისტური თვისება აქვთ (კოოპერატივები).

(გაგრძელება იქნება).

# ფელეტონი.

## ქუდზედიანი.

* *
*

„ბედი მომეც, სანაგვეზედ გადამაგდე.“

— სკოლა..... სჩაგრავს მოზარდის აგებულობას სასწავლებელი! ქედს ახრევინებს, წელში გაჰლუნავს, ხალისს უკარგავს, სიცილს ავიწყებს; უდროვოდ აბერებს; მთლადაც უნადგურებს სხეულის ძალას.

— მართალია! სკოლაში მთელი ყურადღება მოქცეულია სულის წვრთნაზედა, გონების განვითარებაზედ. თითქო უხორცო ქმნილება იყოს ადამიანი.

— მეტს ვიტყვი: ხორცი განზრახ არის ისეთ ყოფაში ჩაყენებული, რომ მოსპობილი აქვს ბუნებრივი ზრდის საშუალება. დილით სალამომდინ ჩაჭედილი ვიწრო კალაპოტში, მაგიდაზედ დაკრული, ქაღალდის დამყურებელი; არც დრო, არც შეძლება გამოვიდეს დარიჯაგიდან, ლაღად გაიფანცქალოს და..... ეს შვიდი წლიდან ოც წლამდინ მაინც.

— რად არის სკოლა ესე მოწყობილი?

— იქნება იმისთვის, რომ ქრისტიანულია: სჯულისათვის სხეული უშნო რამ ჭურჭელია, რომელშიაც ცუდ ბუნებაზედ მდგარ განგებას ჩაუმწყვდევია საბრალო სული.

— იზრდები მარტო გონებით, თავს ავარჯიშებ, ტანის სხვა ნაწილთ სჩაგრავ, აყენებ. თუ ეგრე გაჰყვა, მხოლოდ კეფა გაიზრდება, კინკრიხო მრგვალი და..... ბოლოს მხოლოდ თავად გარდაიქმნები, აგორებულ რამ ვეება გოგრად.

— არა, ცოცხალი ადამიანი ვერ შეურიგდება ესეთ ყოფასა.

— აკი ალღოთი გრძნობს ზოგი ბავშვი ხიფათს საშინელს და მარად ებრძვის სკოლის დარიჯაგს. ვერ ეტევა შიგ, აჭრიალებს, მიღრეჯ-მოღრეჯავს; ბოლოს გაამტვრევს და დაზეზდება: დასწყვეტს, აეშვება, გაინავარდებს.

— კარგსა შვრება! უნდა მოისპოს ხორცის უშნო ზრდა თუ დაკნინება, მთლად მოიკვეთოს!

* *
*

— არც ერთს არ გესმით, არცვინ რა იცით და ამბობთ...... თანაბრად განიკითხე სხეულიც, სულიც; ერთნაირი ყურადღება მიაქციე ხორცს და გონებას....... როგორ, სუსტ თესლს და ძლიერს ერთნაირი ფარეზი?! ცოტა თანხას და ბევრს ერთნაირი გაფრთხილება?! ჯანდაკ საქონელს და გამთქვინებულს ერთნაირ.....

— ვინ არ იცის: ბევრსა და ძლიერს ნაკლებად სჭირია მიშველება.

— კეთილი! დამიგდე ყური: ბუნებას რომ ადამიანი შეუქმნია, ორი ნაწილი შეუკავშირებია, ხორცი და

# კორესპონდენციები.

## მწვანე-ყვავილის კოოპერატივი „დახმარება“.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორთა მეთორმეტე მორიგ კრების დადგენილების თანახმად, კოლეგიის მიერ გამოკვლეულ იქმნა ქუთაისში არსებულ მწანე-ყვავილის მომხმარებელ საზოგადოების „დახმარების“ საქმეები, რომელიც ინსტრუქტორთა და კავშირის დიდ ყურადღებას იწვევდა ამ კოოპერატივში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 29 მარტის ნომერში მოთავსებულ წერილის გამო. წერილის ავტორი, სხვათა შორის, კითხვას სვამდა, რას აკეთებს კოოპერატივთა კავშირიო? კოოპერატივი „დახმარება“ არ იყო და დღესაც არ ირიცხება კავშირში და კავშირი სრულებით არ იყო ვალდებული და უფლებაც არ ქონდა ამ კოოპერატივის საქმეებში ჩარეოდა. მიუხედავათ ამისა, კოლეგია გაეცნო მის საქმეებს და აღმოჩნდა შემდეგი:

მწვანე-ყვავილის მომხმარებელი საზოგადოება „დახმარება“ დაარსდა 1917 წლის 11 სექტემბერს. ამავე თარიღით არის ის ქუთაისის საოლქო სასამართლოს კოოპერატიულ ამხანაგობათა რეესტრში შეტანილი. ვაჭრობა დაიწყო 1917 წლის 9 ნოემბერს. გამგეობა კი არჩეულ იყო ამავე წლის 24 ოქტომბერში მომხდარ დამფუძნებელ კრებაზედ, და შემდეგ პირებისაგან შესდგებოდა: 1) ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ფ. მგალობლიშვილისა, 2) რ. მიქაბერიძისა, 3) ილიკო ცინცაძისა, 4) პავლე გიორგაძისა და 5) ნიშნიანიძისაგან. გამგეობამ კი იმავე დღეს თავმჯდომარეთ ფ. მგალობლიშვილი ამოირჩია.

ბ. ფ. მგალობლიშვილი მის ამომრჩეველ მომხმარებელთათვის „არსების პურის“ მიწოდების მაგიერ, შეუდგა საექვო პროფესიის პირთა, სპეკულიანტთა ორგანიზაციის მოწყობას. უკვე ამავე წლის 11 დეკემბერში ის აძლევს მოწმობას ვიღაც თადეოზ გაბრიელის ძე ბალანჩივაძეს, რომ ის კოოპერატივის აგენტია და მას მინდობილი აქვს კოოპერატივისათვის სხვა და სხვა სასურსათო საგნების შეძენა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიც იძლევა მოწმობას (№ 8751), რომ მწვანე-ყვავილის კოოპერატივის აგენტებს უფლება აქვსთ სასურსათო საგნების შეძენისა. 1918 წლის 9 იანვარს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობა აძლევს მოწმობას

---

სული, მაგრამ თანაბრად არა: ნივთიერი მასალა უხვად ჩაუზელნია, სულიერი ფრთხილად წაუხმარებია, თითქო საფანლად ან თუ სანელად.

— არ გაუმეტნია?

— შეიძლება. იქნება სუბადაცა ჰქონდა, ხარჯვას ფრთხილობდა. ჰო და სულიერი არსება გონიერი ერთობ ნაზად არის ადამიანში ჩარგულ-ჩატანებული, ბევრ-ჯერ ისე მცირე, სანთლით უნდა ეძებო; ზოგან თითქო მთლად დაჰვიწყებია დალოცვილს სანელის მიცემა და........ ცხოვრება კი; ეხლანდელი ყოფა-არსებობა, ძალიანა თხოულობს ამ საფანელსა, გონების ძალას. რა უნდა ქნას საწყალმა სკოლამ, თუ ძალით და გაჭირებით არ აგროვა მისი ნამცეცები, არ შეანივთა და არა ამატა?!

— ჰკვას ახლოა!

— მესმის!

— ხორცი, ჩემო კარგო, ისეც ძლიერია და მდიდარი: ხალისობს, ფუნდრუკობს, წინ იწევს. მთლად დაამუხლისთავებს საწყალ სულიერ არსებას გონიერს, წაჰქელავს უწყალოდ, კისერს წაატეხს, თუ ტოლი არ დაუდეს მას.

— რა არის ტოლი?

— მეხრედ არ მჯდარხარ?! თუ ძლიერისკენ არ წასწიეს მეთქი ჯამბარა, არ დაამოკლეს იმის უღელი. სკოლა ტოლს უდებს ხორცს, რომ გონს განუმტკიცოს სვლა; ტანს უკუაგდებს; ერთს ერეკება, მეორეს უხევს. მაშ რა გეგონა?!

— ეხლა კი მივხვდი! შიმშის ტრიალი, შხეპლის ზუზუნი, ალაყურები; მათი განგრძობა: ერთიანები, ორიანები. აღმზრდელის ხელში ხორცთა ლაგამი, სულის მათრახი.

— ეხლა მეც მესმის! აზრიანი ყოფილა სკოლის საქანი, მიზან-წონილი.

— ეგ ეგრე. მაგრამ რა საჭიროა ცხოვრებისათვის სულის სინათლე, გონების ძალა?! აქა სცდებიან სასწავლებელთა ჭირისუფალნი, ნახტომი ეშლებათ.

— შენა გონია, უქმი არის ცხოვრებისათვის გონების ვაშლა?

— მეტი ბარგია მხოლოდ მტანჯველი; მიიხედ-მოიხედე, აზომ-აწონე „ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს დახედე“. გადაჰხედე თუნდ ბატონს როსტომს.

— დარისპანის ძეს? მერმე რა სარგებელია მისგან ქვეყნისათვის?!

— სხვისთვის არ ვიცი, მოყვასისათვის, თითონ კი რომ მზიურ ცხოვრობს დიდ სიკეთეში, ეს ცხადია. რა შედარება იყო იმისა და მის ძმის შორის სკოლაში, სწავლა-აღზრდის დროს?! ეხლა...... სწორედ ქუდბედი დაჰყოლია როსტომს.

— რა არის ქუდბედი?

— არ იცი? არც მე ვიცი! ამბობენ: გამჭვირვალ გარსის რამ არახჩინით დაიბადება ყისმათისაგან კეთილად აღნიშნული სული. იმ ქვეყნიდანვე თუ წამოჰყვება სამკაული ნივთში ჩასასახად წარმოგზავნილ სულს.

ვილაც ცირგილაძეს, რომ მას, მწვანე-ყვავილის კოოპერატივის აგენტს, უფლება აქვს რუსეთის ყველა ქალაქებში სხვა და სხვა სანოვაგის შეძენის და სთხოვს ყველა სასურსათო გამგეობებს და მთავრობის დაწესებულებებს მას, ცირგილაძეს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ. ამნაირად ბ. მგალობლიშვილმა უკვე ქსელი გააბა სასურსათო კომიტეტებთან და მოფინა მათი ჩრდილი სხვა და სხვა კერძო მოვაჭრე პირებს. ისინი უხვად სარგებლობდენ ბ. მგალობლიშვილის სიმპატიით.

1918 წლის 28 აგვისტოს მოხდა კოოპერატივის წევრთა საგანგებო კრება. დამახასიათებელია, რომ ამ კრებაზე წესდების 13 მუხლი, რომელიც პაის ხუთმაგ პასუხისმგებლობას აღიარებდა, (პაი კი თუმანია) შეუცვლიათ და განუსაზღვრავსთ ერთი პაით. თუ კი ბ. მგალობლიშვილი თვით იმ კანონების ცოდნაშიაც დიდ სისუტეს იჩენდა, რომლის აღმსრულებლად ის დიდხანს, როგორც მოსამართლე იმყოფებოდა, რასაკვირველია, რომ კოოპერატიულ კანონების ცოდნაში უფრო მეტ სისუსტეს გამოიჩენდა და ამიტომ სრულებით არ ცდილა ეს დადგენილება წესდების მუხლის შეცვლის შესახებ საოლქო სასამართლოსათვის განეცხადებია.

ამავე კრების ოქმში ჩვენ, სხვათა შორის, შემდეგ სტრიქონებს ვხვდებით: ამასთანავე გამგეობის თავმჯდომარემ ფილიპე მგალობლიშვილმა წარმოადგინა მის მიერ შედგენილი წინადადება შესახებ ნოქრების დაქირავებისა და დუქანში ვაჭრობის მოწესრიგებისა. კრებამ მიიღო წარმოდგენილი ბ. მგალობლიშვილისაგან წერილობითი წინადადება და დაადგინა: განმეორებით გამოეცხადოს გამგეობას მადლობა და სრული ნდობა, და მიენდოს შესრულება მგალობლიშვილის წერილობითი წინადადებისა — შესახებ ნოქრების დაქირავების და ვაჭრობის მოწესრიგებისა ზემოხსენებულ საზოგადოების დუქანში. რაც შეეხება ნოქრების დაქირავებას, მგალობლიშვილის წინადადებაში აღნიშნული იყო საჭიროება ჯამაგირის მაგივრად მოგებიდან $^0/_0$-ის მიცემის, რაც, რასაკვირველია, კოოპერატიულ პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგრამ ბ. მგალობლიშვილს, კოოპერატიულ პრინციპების დაცვაში ასეთი სისასტიკე არ მოეთხოვება. ზემოხსენებული ოქმი, რომელსაც დართული აქვს ბ. ფ. მგალობლიშვილის წარწერა, შემდეგ სტრიქონებს შეიცავს: **უკანასკნელი კრების დადგენილება იყო შემდეგი: განმეორებით გამოეცხადოს ბ. მგალობლიშვილს დიდი**

* * *

— მართლა და სულ სხვა და სხვა გზით მიდიოდა ამ ორი ძმის ზრდა, როსტომისა და ივანესი. იტყვიან: „ერთის ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიც“, ბარულა რამ ძირხვენის საჩიჩქნი. ამისთანებზედ იტყვიან. დარისპანი თავის ვაჟებს გიმნაზიაში ზრდიდა და მადლიანად უწყობდა ხელს. იმედი ჰქონდა, არვის ჩამორჩებოდენ სწავლაში. იქნება ბოლოს კიდეც ესახელებინათ გვარი, დედ-მამა. რატომ? ნიჭი არ აკლდათ ჯანსაღებს, ცხოვრება შესაფერადა ჰქონდათ მოწყობილი; შრომის უნარილა იყო მათთვის საჭირო. მოეწყო კიდეც მათი გარჯილობა თავიდან: წყვილად მიდიოდნენ ძმები ერთი მეორეზედ მხოლოდ ერთის წლით უფროს-უცროსნი. მოსამზადებელი განყოფილებები, ოთხი ზედა კლასი. შვილებს უქებდენ, ამაყ სიამოვნებასა გრძნობდა მათი დედმამა.

— „კვიცი გვარზედ ხტის.“ მე მგვანან ნიჭით. დედის გვარიც კი ჭკვიანია. იმედია, ამისრულდეს ოცნება, იტყოდა დარისპან. მის კმაყოფილებას ხინჯი შეაჩნდა მეხუთე კლასში: უცროსზედ ველარ იყვნენ კარგი ჰაზრისა.

— ნიჭით არ ჩამოუვარდება ძმას, გონების სიფხიზლით კიდეც სჯობია; მაგრამ....... გული აიცრუვა მუშაობაზედ: გაკვეთილებს აღარა სწავლობს, საწერს არ ასრულებს. შარშანვე შეეტყო მას.......

— მაინც რომ კარგი ნიშნები ჰქონდა......

— ეს მიტომ, ფხიზელი ნიჭი აქვს: სიტყვას იხსომებს, მიუგებს მასწავლებელს მისი სიტყვით, წინანდელი ჰაზრიც მუშაობდა, მასწავლებელთაგან ადრე შედგენილი შეხედულება: როცა არ იცოდა, ეგონათ, მისი არ ცოდნა შემთხვევითიაო, ენანებოდათ. იციან ესე ოსტატებმა. ერთიც დავსძინო: საშინლადა ჰბაძავს მასწავლებლებს სიარულში, მიხვრა-მოხვრაში, თვით ხმაში. ეს ყველა......

— შენიშნეს ოსტატებმა?

— შენიშნეს და სწყინთ. კარგი ჩვეულება გაქვთ, ჩამოჰხედავთ თქვენს შვილებს. უმცროსს ძლიერა სჭირია თქვენი ყურადღება. უფროსი კი, ივანე, მოწაფე კი არა, ოქროა კლასის მამშვენებელი.

ეს საუბარი შემოდგომაზედ იყო. გაზაფხულზედ დასძინეს: ბიჭი ხშირად აკლდება გაკვეთილებს და ყოვლად უმიზეზოდაო. კიდევ სთქვეს, თუთუნს შეეჩვიაო, გლარჯის მილსაო. ველარ უშველა ვერც დაყვავებამ, ველარც ჯავრობამ. მაინც გადიყვანეს მეექვსეში, კუდით და რქებით გადაათრიეს სწავლაში ფეხ-ათრთოლებული.

უნდა გენახა, რა უნარი გამოიჩინა იმ ზაფხულს სოფლად! ნადირობა, ჯირითი, ცეკვა, სმა, ღრეულობა. მაყრობაც შესძლო, ნამდვილი მაყრობა ანჯახი. მეორე დღეს „ომ გარდახდილი ჰშვენოდა შენატევები ცხენისა“. გოგოებს, პატარძლებს თვალი მასზედა რჩებოდათ. საროს ტანი, მხარ-ბეჭ გაშლილი, ორ-აზროვანად მოღიმარე. უხდებოდა იარაღი მკვირცხლ ახალგაზრდას. თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ბიჭი ცხრამეტი წლის ჭაბუკი გეგონე-

**მადლობა და მიენდოს მასვე განხორციელება მის მიერ წარმოდგენილ წერილობითი წინადადებისა. აგრეთვე გამოეცხადოს მას სრული ნდობა და მიენდოს ყოველგვარი მოქმედებ́ა შესახებ გასასყიდ საქონლის შოვნისა, შეძენისა და ვაჭრობის მოწესრიგება ამ საზოგადოების დუქანში ისე, როგორც მას სურდეს და საუმჯობესოდ მიაჩნდეს.** ხაზ გასმული სიტყვები, რომელიც გამგეობას, როგორც კოლეგიას ნულად ხდის და კოოპერატიულ საქმეში ბ. მგალობლიშვილს პლებისციტარულ მონარქად აღიარებს, არც ბ. მგალობლიშვილის მიერ საზოგადო კრებისათვის წარდგენილ წერილობითი წინადადებაშია, არც ოქმში, მაშასადამე ეს შეთხზა ბ. მგალობლიშვილმა. ასეთ საქციელს კი ქართველები „სიყალბეს“ უწოდებენ, რუსები подлогъ-ს. უკასასკნელი სიტყვა კი სისხლის სამართლის კოდექსშიდაც არის შესული. თუმცა ბ. მგალობლიშვილს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეობაში ღრმად დაბერებულს, ასეთ კოდექსთან თითქმის არ ქონდა საქმე;—მაგრამ მისი ცოდნა კი მისთვისაც სავალდებულო იყო. ბ. მგალობლიშვილი უხვად სარგებლობს თავის სპეკულიანტ მეგობრების სასარგებლოდ, ასეთ მის მიერ შეთხზულ დადგენილებით.

1918 წლის 10 დეკემბერს ის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს თხოვნას აძლევს, რომელშიდაც შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

Покорнѣйше прошу выдать мнѣ удостовѣреніе о предоставленіи мнѣ права вывоза черезъ агентовъ моихъ кутаисскихъ жителей Нестора Максимовича Кварiани и Симона Ѳомича Угрехелидзе изъ Кутаисской губерніи въ разныя мѣста Россіи лавроваго листа и брусничнаго чая для обмѣна на пшеничную муку и разные другіе товары для доставленія ихъ въ магазинъ общества. ამ თხოვნაში დასახელებულ პირთ ჩვენ ქვევითაც შევხვთებით. ამავე წლის 18 დეკემბერს ბ. მგალობლიშვილი თხოვნას აძლევს, აგრეთვე ქართულ წითელ ჯვრის საზოგადოების საველე საწყობის გამგეს, რომ მიეცეს მის აგენტებს „დახმარებისათვის“ საქონელი.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც მოხუცი ბ. ფ. მგალობლიშვილი კოოპერატივის „დახმარების“ საქმეს განაგებდა ქუთაისში, მისი ახალგაზრდა შვილი ბ. მიხეილ მგალობლიშვილი ქართულ წითელი ჯვრის საქმეებს განაგებდა ტფილისში. მგალობლიშვილის აგენტებიც უხვად ღებულობდენ საქონელს

---

ბოდა, ოცისა. ულოცავდენ დარისპანს, ძალიან ვაჟი დაგიდგაო. მამა ცდილობდა ხალხის ყურადღება მიექცივნა ვანუაზედ. ამაოდ! სკოლაში პირველი, ყველა კითხვაზედ მზამეტყველი, აქ ნაბოლოვარა იყო, გამოუსადეგი.

— კისერი ღალღას მიუგავს..... ერთი მხარი მაღალი, მეორე დაბალი. ფერნაცვალი, შეხუნებული. არც ცხენზედ ჯდომა, არც სიმღერის თქმა, სადღეგრძელოს სმა, ცეკვას ვინ ჩივის, გავლაც კი უშნო. როგორი როსტომის ძმა არის ეს?!

— ნუ ეხუმრები ჩემს შვილს ივანეს, მამაო აბრამ: მშვენივრად სწავლობს; ძველი ენები საუკეთესოდ იცის; ხუთს არ ჩაა ცდენს არც ერთს საგანში! ეტყოდა დარისპანი მოძღვარს,

რომელიც ნაწრთობი იყო, სკოლის ჩლაში გამოჩლეჩილი, მაგრამ რომელსაც ყველა იქ შეძენილი დაჰვიწყებოდა თუ გადაებნია, როგორც ურგები მეტი რამ ბარგი. ნეტა მისი ხსოვნიდან ის ყრუ ტკივილიც წაშლილიყო, ძნელის წარსულის მომაგონები სამძიმო გრძნობა.

— უნდა დავსძინო, მამაო: ყოველ წელიწადს ჯილდოს აძლევენ კარგ სწავლისათვის, წლეულაც მისცეს.

— ჯილდოს?! აკურთხოს ღმერთმა! დახე, დახე შენს როსტომს! რა ვაჟკაცია! მაზაა სუფრისა ი დალოცვილი; მშვენიერებაა ეშხით აღსავსე. ბედნიერი მამა ხარ, შვილებით გახარებული.

* *
*

ბედნიერი მამა ვერ იყო კმაყოფილი ეშხით აღსავსე შვილით. უკვირდა: რაც ოჯახში დუხჭირად მიაჩნდათ, გარეშეთ იმაზედ რჩებოდათ თვალი; კერის კნინებად ჩარიცხული სახლის ბედნიერებად ეჩვენებოდათ. ხედავდა ვანუა, რომ ყველა საჩენ შემთხვევაში მის მიჩულულ არსებას ყურადღებას არავინ აქცევდა და ან აღარ დადიოდა სალხინო ყრილობებში, ან ადრევე ბრუნდებოდა იქიდან, რომ ჩასჯდომოდა თავისსავე წიგნებს. კითხულობდა, სწერდა, დაჟინებით ჩასჩიჩინებდა ეტრატს. არც კი უყვარდა ეს სამუშაო, გატაცებული არ იყო მითი: სკოლაში რომ ირჯებოდა, თავს აწონებდა მასწავლებლებს, პირველობდა ამხანაგებში; სახელს ითქვამდა ახალგაზრდებში; აქ კი...... შეხსნილი იყო ეს გარეშე ძალა წამხალისებელი და კაცი მიზანს ველარა ჰხედავდა ბეჯითობისას. ცოდნისადმი სიყვარული, სწავლა განვითარებისათვის ვერ გაჰლვიძებოდა მშრომელს: საცოდნელის შეძენა, ცნობის-მოყვარეობის ავსება არ აკმაყოფილებდა მას: შრომა ვერ დაჰმყარებოდა სწავლის სიყვარულზედ.

— სკოლის უბედურება, ახალგაზრდების გაჭირვება. შესაძლო კი არის სკოლაში სწავლის წარმოება მხოლოდ ცოდნისათვის?

— ჰაი, ჰაი შესაძლო არის აზრიანად მოწყობილ სკოლაში, ცოდნით გატაცებულ ოსტატის ხელში.

ძნელი იყო დარისპანის პირადი მდგომარეობაც: თავისი ვანოთი თავი მოსწონდა, მაგრამ მხოლოდ იქ, სასწავლებელში; შინ კი, სოფლად, როსტომი უფრო უამებოდა, მყრაზით სავსე შახი ჭაბუკი ყველგან პირველი. დაუდეგარი როსტომი აგონებდა დარისპანს მის დაუდ-

წითელი ჯვრის საზოგადოების საწყობიდან. ამ დროს ბ. მგალობლიშვილს და მის აგენტებს მოულოდნელათ ღვთის რისხვა მოევლინათ—ეს ქუთაისის რაიონის რკინის გზის მილიციის უფროსი ბ. იოსებ სულაქველიძე.

1919 წელს ქუთაისის სადგურზე ბ. უგრეხელიძე და მეხუზლას სახელზე წითელი ჯვრის საწყობიდან საქონელი მოვიდა, ღირებული 23950 მან. ბ. სულაქველიძეს ეჭვი შეპარვია მიმღებ პირთა პატიოსნებაში და საქონელი დაუკავებია, რის შესახებ საგუბერნიო კომისარისათვის ცნობა მიუცია. აღმოჩნდა, რომ საქონელი კოოპერატივ „დახმარების“ მანდატით იყო გამოტანილი და ამავე კოოპერატივის მინდობით რამდენიმეჯერ ყოფილა წითელ ჯვრის საწყობიდან საქონელი გამოტანილი: მიუღიათ კერძო პირებს, რომელთაც საქონელი განზედ გაუყიდიათ. მაგ. 1918 წელს 6 დეკემბერს უგრეხელიძის სახელზე წითელი ჯვრის საწყობიდან ანგარიშის 74 ნომერით უგრეხელიძის სახელზედ 16780 მანეთის საქონელი მოსულა, რომლის ნაწილი ბ. სულაქველიძეს დოკუმენტებთან ერთად ვიღაც დგებუაძესთან დაუჭერია, რომელიც ამ საქონელს ახალ-სენაკში ყიდდა. 7 იანვარს გაუტანიათ ამავე საწყობიდან ვიღაც დგვარელის სახელზე „დახმარებისათვის“ მოსული საქონელი წონით 32 ფუთი, ღირებული 12800 მან. რასაკვირველია, არავითარი საქონელი „დახმარების“ გამგეობას არ ქონდა გამოწერილი, რაც „დახმარების“ გამგეობამ დაადასტურა. ი. სულაქველიძის შეკითხვაზე აღმოჩნდა, რომ უგრეხელიძეებს, ქვარიანებს და სხვა ბ. მგალობლიშვილის მეგობარ-ნათესავთ სხვა კოოპერატივების მოწმობებიც ქონდათ: „ოკრიბის,“ „მომავალის“, „საჯევახოს“ და სხვა. მხოლოდ მთავარი ალაგი „დახმარებას“ ეკავა, და მისი თავმჯდომარე ბ. მგალობლიშვილი ის ფოკუსი ბრძანდებოდა, სადაც ამ კოოპერატივების სპეკულიანტებისათვის ცხოველ-მყოფელი სხივები თავს იყრიდენ და იქიდან მათ შუქს ფენდენ. 1919 წლის 2 ივნისს ქუთაისის სამხედრო უფროსი ეროზის თავმჯდომარეს ქაღალდს უგზავნის, რომელშიდაც სწერია: „ამასთან ერთად გეგზავნებათ ჩხარის მცხოვრები კვინიხიძე და ერთი ბრეზენტი, რომლის შესახებ მან განაცხადა, რომ ბრეზენტი აქვს ნაყიდი კოწია ქვარიანს კოოპერატივისათვის და მე ვიყიდე კოოპერატივში გასასყიდათო № 6049“. ამ კვინიხიძეს ქვარიანისგან გადმოცემული წითელი ჯვრის საველე საწყობის მოწმობა და ანგარიში ქონდა ქვარიანის სა-

---

გრომელ სიჭაბუკეს; მისი სარკე იყო როსტომი, მისი გაზაფხულის განმეორება. გულის ჯურღმულში ინახავდა ის ამ შეგრძნობას, საიდუმლო სადღაც კუნჭულში. როგორ იტყოდა, ვის გაუმხელდა?!

ორნაირი მოქმედება სჭირდებოდა დარისპანს: როცა სკოლაში იყვნენ ბიჭები, იფნის სახრით უნდებოდა დაოჩნებულის შეხურება. ხოლო მეორის დაყვავებით უკან დახევა, რომ უღელის დაუზოგავად წევაში წელი არ აკრთომოდა; სოფელში ყოფნის დროს კი გაორყებულ როსტომს სახრითვე უკან უხევდა, ხოლო ვანუას წინ ელალებოდა, ცდილობდა, ფეხი იმდენად მაინც წაედგმევინებინა, რომ შესძლებოდა ახალგაზრდას თქმა: „მეც ნახირ-ნახირაო“.

ებრძოდა დარისპან თავის საქმეს, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ მუხლ მოჭრილი მისი შვილი, უხეირო ნალოსავით რომ ასთრევდა ეხლა თავის კლასს, მთლადაც არ მოსწყვეტოდა ამხანაგთა კრებულს. ვანოს საქმეც საფიქრებელი იყო, რადგან მთლად ზურგი შეაქცია იმან ცხოვრების ხალისიან დენას და ეს საზიანო იქნებოდა შემდეგში მისთვის. დაყუდებულად ხომ არ გავიდოდა სადმე უდაბნოში, ხალხში საცხოვრებლად კი არ გამოადგებოდა მას ესეთი მიმართულება. მხნე კაცი იყო დარისპანი, მარჯვედ მომქმედი და აისრულებდა თავის წადილს.

— როსტომს უთუოდ დავასრულებინებ სწავლას: მაშველ მასწავლებელს მიუჩენ, მის ბედის მჭერელთ დავეღრიჯები და დავათავებინებ. მაგისთანები გადიან ბოლომდინ! თავში ხომ მაინც სწავლობდა, კარგად მიდიოდა, ვერ იტყვიან, ნიჭი არა აქვსო. ვანუა..... ასაკში შესვლა აქაც თავისას გაიტანს და აამღერებს. ეჰ, იმასაც თავისებური შველა სჭირია, სულ სხვანაირი. ამბობდა ზრუნვა შემრავლებული კაცი.

და სავალს ჰზომავდა, გამოიკვლევდა. უსათუოდ მონახავდა გამოსაძრომ ხვრელს, თუ უცნაური ამბავი არ დასტეხოდა თავს მის ღვთის გარეგანსა. საქმე ბოროტი, არც თუ სახუმარი: ავაზაკური რამ მოძრაობა გასაღიმარი.

— ავაზაკობა გასაღიმარი?!

— ნუ სჩქარობ!

ახალ კლასში მთლად დაქვეითდა როსტომი, ბოლოში მოექცა, უიმედო რამ ქვემო-ბოლოს. მაინც იყო ერთი საგანი, რომელშიაც ვერვინ შეეცილებოდა მას, ვერვინ წაართმევდა პირველობას. ეს იყო ფიზიკური ვარჯიშობა. ვინ შეეჯიბრებოდა ამ მუშაითს იმ საგანშია?! ჯამბაზი იყო მარჯვედ მოქნილი. რა ძლიერი! ისე ათამაშებდა ცალი ხელით ორფუთიანსა, როგორც მეშის ბურთს. მოჰკიდებდა ამხანაგს კისერში ხელს, მერხეებში გადააგდებდა. ამ ვარჯიშობამ დაღუპა ბიჭი.

მასწავლებელი ჰყავნდათ ჩია რამ კაცი, მტვერის ფერი, თვალ ამღვრეული; მთლად ავზნიანი. ღიმილი იცოდა ღრენის მაგვარი. საგნის მშვენივრად მცოდნე. მკაცრი, სასტიკი. ძალიან აითვალწუნა ქინქილივით ბიჭი ან

ხელზე დაწერილი 21424 მანეთისა. ამ ანგარიშში აღნიშნული საქონელი სწორედ იგივე საქონელია რომელსაც ბ. ფ. მგალობლიშვილი ითხოვდა წითელ ჯვრის საზოგადოებიდან, რომელიც მე უკვე აღვნიშნე. რასაკვირველია, არც ეს საქონელი მიუღია კოოპერატივს. ცხადია, ბ. მგალობლიშვილის გარშემო თავს იყრიდა ბანდა ნამუს-ახდილ სპეკულიანტების, რომელთაც დაირიგეს წითელი ჯვრის საწყობში არსებული საქონელი. ასე ფლანგავდენ რესპუბლიკის ქონებას მისი ულირსნი მოსამსახურენი! ქუთაისის გუბერნიის კომისარმა დაადასტურა რკინის გზის მილიციის უფროსის ი. სულაქველიძის მოქმედება და საქმის მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინა. ამაზედ შემდეგი პასუხი მოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორ აფაქიძისაგან: „სადგურში დაჭერილ საქონლის—საცვლების და სხვა მატერიის შესახებ გთხოვთ, თანახმად მინისტრის ბრძანებისა, მიიღოთ ენერგიული ზომები საქმის გამოსაძიებლათ და შედეგი გვაცნობოთ მოსახსენებლად, მანამდი კი საჭიროა, საქონელი დაკავებულ იქმნას. დაჭერილ საქონელთა აღწერა გუბერნიის კომისარმა კომისარიატის საგანგებო მინდობილებათა აღმასრულებელს ანანიევს მიანდო.

ბ. მგალობლიშვილი საკმარისად გავლენიანი პიროვნებაა ნათესაობრივ კავშირის წყალობით, ასე რომ ასეთ უბრალო მოხელეზე გამარჯვება, როგორც არის სულაქველიძე მისთვის ადვილი იყო. სულაქველიძეს მოუვიდა გენერალ კარალოვისაგან შემდეგი ბრძანება:

„Предлагаю немедленно возвратить по принадлежности товары, перечисленные въ описи, составленной 8 января с. г. чиновникомъ особыхъ порученій при Кутаисскомъ Губернскомъ Комиссарѣ Ананіевымъ.

ბ. ი. სულაქველიძემ არ შეასრულა გენერალ კარალაშვილის ბრძანება, ვინაიდან კარალაშვილის ბრძანება ზეპირ განცხადებაზე იყო დამყარებული. აქ დანაშაულობა, ბოროტ-მოქმედება, კანონის დარღევა, აშკარა იყო და როდესაც მოხელეს მოსთხოვეს, მოიქეცი კანონის წინააღმდეგო, თუ, რასაკვირველია, კანონის დარღვევა აშკარაა, მაშინ ის არ არის ვალდებული ასეთ ბრძანებას დაემორჩილოს, მით უმეტეს როდესაც თავისი პირდაპირი უფროსის ბრძანება აქვს, სრულიად საწინააღმდეგო. მაგრამ დახეთ უბედურებას: ბ. ფ. მგალობლიშვილი განცხადებას აძლევს ნ. ჟორდანიას.

---

კი რა ექმნა: როსტომი უმძრახად დაადგა მის საგანს. თუ მასწავლებელს ერთხელ და სამუდამოდ დაესვა ერთეული, შეურიგდებოდა შეგირდი სამართლიან ხვედრს. მაგრამ თავს არ ანებებდა ოსტატი: გაუძახებდა კვირაში ერთხელ მაინც, აწამებდა, კლასს აღიმებდა. ერთ ამისთანა განსაცდელის წუთს როსტომმა თვალი ველარ მოსწყვიტა ოსტატის ქეჩოს. მარჯვენა თავის-თავად იწევდა წინ, იძგიფებოდა და...... დასწვდა სატანა საყელოში, ასწია, კაცი აიწიალა—ჰაერში ეჭირა რამდენსამე წამს. წამოიშალა კლასი. გაელიმა როსტომს. დაუშვა ძირს გონება მიხდილი, გაფითრებული. წყნარის ნაბიჯით გავიდა გარეთ. ილიმებოდა. რა აცინებდა?!

* *
*

დადგა როსტომისათვის უწყვეტი დღესასწაული, ზეიმის დღეები მზიან დარიანი. მამული აცხოვრებდა ოჯახს. მაგდენსაც არასა ჰხარჯავდა კერა როსტომზედ. მთელი კვირაობით შინ არ იყო კაცი. ყოველთვის კარგად ჩაცმული, მშვენიერ ცხენზედ, ძვირფას იარაღში. რითი სცხოვრობდა? ვინ იცის! ვისიც კვამლი მაღალი იყო, ის იმათი მაყარი იყო თავის ამხანაგებით. და რა ამხანაგებით! ყველაფერი გამოუვიდოდათ ხელიდან იმათ......

დაამთავრა ივანემ სწავლა. მასწავლებლობა ჩააბარეს მაშინვე. ბეჩავი ოსტატი დადგა. არ შეიყვარეს მოსწავლეებმა; ვერ დაეწყვენ მის გაკვეთილზედ; არ შეითვისეს. ვერა ჰხიბლავდა; რიხიც არ ჰქონდა; ხათრი არ ჰქონდათ, არც ეშინოდათ. მალე ჩამოჰშორდა სკოლას მამის სიკვდილის შემდეგ. ჩაუდგა მამულს. შეჰყვა იმ შარას, რომელზედ სვლისათვის სკოლას მისთვის არაფერი მიეცა. არა! სკოლამ შეაჩვია ის შრომას, მუყაითობას. დაჰყვა კაცი ამ სადინელსა: შეუდგა მამულის ერთგულად დამუშავებას, მამის შრომის განგრძობას. მეზობლების მიხედულობით, თუ წიგნებიდან ნელ-ნელა შეისწავლა მამულის ხელი; გააფართოვა მეურნეობა. შეისყიდა ხელმომჭირნემ ნაწრეთები, მიუმატა თავის მიწებს გასაშენებლად. რა უჭირდა: კარგად მოწყობილი სამეურნეო უჯრედი დაჰხვდა, ოჯახის კარგად მაცხოვრებელი; თითონაც უმატა.

როსტომი ეხლაც წინანდებურადა ცხოვრობდა: მღეროდა უზრუნველ ჭრიჭინასავით, დახტოდა მკალსავით მუქთა-მჭამელისა; ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად; ყველა ჭერის ქვეშ მისი ბინა იყო, ყოველ სუფრაზედ მისი ადგილი. და თუ გვალვიანი დრო დაუდგებოდა, ვერსად ვეღარას გახდებოდა, ვერც თუ ძალადობით, მიმართავდა თავის სახლს: მამის მაგივრად ძმა ედგა პატრონად. მოიცლიდა გაბმულ ლხინიდან, დაისვენებდა; სახარჯოს შეავლებდა ხელს და ისევ გაუდგებოდა სადინელს უზრუნველობისას. იყო კი მის ყოფაში ერთი სახიფათო განსხვავება: ძმა უანგარიშოდ არას აძლევდა, მასზედ დანახარჯს პირობის ძალით მის ხვედრს აწერდა, მის ნაწილს მამულისას. იყო სხვა გარჩევაც: შეძველდა

ამ განცხადებაში ის სასტიკათ დასცინის ქუთაისის საგუბერნიო კომისარს და სრულებით უსაბუთოთ კიცხავს რკინის გზის მილიციის უფროსს სულაქველიძეს.

5 თებერვალს რესპუბლიკის რკინის გზების მილიციის უფროსს შემდეგი ტელეფონოგრამა მოდის:

„Предлагаю немедленно выдать незаконно задержанный 2/I с. г. на ст. Кутаисъ Начальникомъ Желѣзнодорожной милиціи Кутаисскаго района Сулаквелидзе таваръ, принадлежащій кооперативамъ „Дахмареба“, „Окрыба“, „Момавали“ и „Саджевахо“. Товаръ долженъ бытъ выданъ по описи, составленной 8/I чиновникомъ особыхъ порученій при Кутаисскомъ Губернскомъ Комиссарѣ г. Ананіевымъ.

Начальника жел. дорож. милиціи Кутаисскаго района Сулаквелидзе отстранить отъ должности и возбудить уголовное преслѣдованіе за противозаконное дѣйствіе по задержанію товара и неисполненія приказа начальствующихъ лицъ.

ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია.

ბ. სულაქველიძე პასუხის გებაში მისცეს, მაგრამ მის შესახებ საქმე მოსპობილ იქმნა. ყველა ეს ფაქტები დოკუმენტებზეა დამყარებული.

ყველა ამის შემდეგ არ შეიძლება არ შევნიშნოთ „ერთობაში“ მოთავსებულ წერილის ავტორს: კავშირის წინააღმდეგ მისი აღშფოთება სრულებით უსაფუძლო იყო, ვინაიდან კავშირთან „დახმარებას“ არავითარი კავშირი არ ქონდა, არც წევრად იყო ჩარიცხული. მხოლოდ კავშირს და მის პასუხისმგებელ მოსამსახურეებს თამამად შეუძლიათ მიმართონ „ერთობას“ და შეეკითხონ: რას შვებოდა მთავრობა ამ საქმეში? ვექვობ, რომ „ერთობის“ კორესპონდენტმა შესძლოს ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა.

—:— ინსტრ. **ვლ. ემუხვარი.**

## ლანჩხუთის რაიონის კოოპერატივთა კავშირი.

ლანჩხუთის კოოპერატივთა კავშირი აერთებს 35 მომხმარ. საზოგადოებას. წევრთა რიცხვი 8000 აღემატება. სამოქმედო რაიონი მეტათ ფართეა, მდიდარია: ამ რაიონიდან 500,000 ფუთი სიმინდი გადის და აღმოსავლეთ გურიას აკმაყოფილებს; აქვეა მოქ-

---

როსტომი, დაიყვავილა, ლამის დაპურდა და მისადმი პატივს თითქო ჩაეშალა ნაწიბურები.

მაგრამ, გითხარი, ყისმათი უღიმოდა ქუდბედიანს: ქალაქში ქალს შეჰყვარებოდა ის, გული შეჰვარდნოდა. ლამაზად მოეზომა ჰქვიანს თავისი სახტომიც, თავის სანეკრეც და....... ხელთ დაიჭირა მშვენიერი ვაჟკაცი მისთვის ზედგამოჭრილმა საპატარძლომ, განგებისაგან მისთვის შერჩეულმა საცოლომ მეჯლიშში ენახა ჩასპანდური და მაშინვე ასდუღებოდა კოჭობი სიყვარულისა. რას ვამბობ?! ტროფობის ქვაბი საარაყე! პირდაპირ მიეწერნა ქალს წერილი გატაცებული, თანაც გაანგარიშებული. სწერდა:

„მეუღლეები შეავსებენ ერთმანეთის ნაკლს; ქალი შეავსებს არსებას ვაჟკაცისას, ვაჟკაცი სრულჰყოფს ბუნებას ქალისას; სდგება ორისგან ერთი მთლიანი, ცხოვრებისათვის მარჯვედ წყობილი. ნამეტნავი ჩემი ნაკლულევანებისათვის შენისა, ხოლო ნამეტნავი შენი ნაკლულევანებისათვის ჩემისა. შენთან არს მშვენება ხორციელი, ხოლო ჩემთან არს კეთილი ნივთიერი: ოქრო-ვერცხლი პინით საწყავი, პალატნი დიდ-დიდნი, ყოველ-გვარი სიმდიდრე ქვეყნიური. შევეზავნეთ ერთმანეთს: შენ თანაზიარ მყავ მშვენიერისა სიმამაცისა შენისა, მე მოგცე საუნჯე ულეველი..... ახ, უცხოს უცხო, მიკვირს, აგრე რად მეკეთე! ღმერთმა კი ნუ ქმნას დღეის იქით უცხონი ვიყვნეთ ერთმანეთისთვის“.

გასჭრა გულ-წრფელმა შეთხოვნამ. ოქრომ კოჭები დაუჭირა როსტომს. რა იქნებოდა იგი ვაჟკაცი შეძლე-

ბის გარეშე?! წაქცეული ალვის ხე ფუყი, რომელს ყველა დააბიჯგებდა, რომელი გამოუსადეგარი იქმნებოდა საშენებლად, საწველადაც კი. თავისი სამკვიდრებელი უკვე ჩანთქმული ჰქონდა უძლებს; შრომა არ შეეძლო: ჭაბუკობის ხანა გასთავებოდა: დილ-დილით შეთეთრებულ ბეწვებიდანა ჰმარგლიდა თვის წვერ-ულვაშს და გულს ეყრებოდა სუსხიანი შემოდგომის მოლოდინში, თავლად გადაპენტილ მყინვარ ზამთრის წინ. წაიკითხა უსტარი, ჰქვაში დაუჯდა. ჩაიცინა კმაყოფილად. წარმოსთქვა:

— კა უთქვამს, კა განუზრახავს, კა წიგნი მოუწერია!

რატომ? ოქრო არის შენივთებული სხივი მზისა მაცოცხლებელ-მაცხოვრებელი და .....

— როგორ არა, ნაკლი აქვს საწყალ ქალს, ხინჯი არა ერთი. ხორბლის ფერი, თითქმის რომ შავი.... მაგრამ სიშავე არ უშლის სილამაზეს. გახსოვს „ქებათაქებათაში“: „შავ ვარ, ასულნო ისრაილისანო, და მშვენიერ!“ ესეც არ იყოს, სიბნელეს ოქროს ბჭყვრიალი ჰფანტავს, გოჰართ ლაპლაპი. ყური...,. ლავაშია რაღა! მაგრამ ყურს რას უყურებ, საყურე ნახე ყვრიმალის მაციაგე გაყინული ალის საყურე. ცხვირი...... ცოტა მოზრდილი, მელქონიურად წამოწოლილი...... ეჰ, სასუნთქავი იარაღია ცხვირი და რაც უფრო თოქმაა, სხვილ ხვრელიანი, მით უმჯობესია. ქოჩლიაო. ჰა, ჰა, ჰა! განა კურდღელს ვადევნებ. იცი? იმდენ ას თუმნიანს დაიწყობს მოკლე ფეხ ქვეშ, გძელს დაუსწორდეს; მაინც სრულებით არ შეეტყობა

ცეული დიდ-ძალი დაფნა, თხილი, ჩაი, ხილი, პარკი, აგრეთვე შეშა, ხე-ტყის დაუმუშავებელი და დამუშავებული მასალა და ორი სახერხი ქარხანა მუშაობს.

ამ რაიონში არსებობდა ორი სარაიონო კოოპ. კავშირი, ნიგოითის და ლანჩხუთის. არც ერთის და არც მეორის საქმე სასურველათ არ მიდიოდა. 15 მარტს 1919 წ. იქნა მოწვეული შეერთებული კრება ამ ორი რაიონის კოოპერატივთა რწმუნებულებისა ინსტ. ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ხსენებულმა კრებამ გადასწყვიტა ერთათ მოქმედება, შეერთება; ერთისა და მეორეს გამგეობა გადადგა, ახალი იქნა არჩეული შეთანხმებით; აქედან ეყრება საძირკველი კავშირის მოქმედებას, მის გამოფხიზლებას.

ახლად არჩეულ გამგეობაში იჩინა თავი უთანხმოებამ; 5 გამგესაგან 3 დარჩა. ამის შემდეგ სათანადო ყურადღება ექნა მიქცეული კავშირის ორგანიზაციულათ, მოწყობას ბინის დაქირავებას, კანტორის მოწყობას, ინსტრუქტორის დაქირავებას და სხვა.

მიუხედავათ საქონლის კრიზისისა, გამგეობამ მაინც შესძლო 5 თვის განმავლობაში გადაეტრიალებია 800,000 მან. საქონელი. ცენტრალურ. კოოპ. კავშ. გამგეობამ 150,000 მანეთის საქონელი დაუთმო რამოდენიმე თვის ვადით, მოსკოვის სახალ. ბანკში (თბილ. განყ.) ნახევარი მილიონი კრედიტის გახსნის შუამდგომლობა აღძრა და სრული დარწმუნებულიც ვართ, სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ლანჩ. კავშ. თხოვნას, რომლის საშვალებით გვინდა ეს აუარებელი სიმდიდრე ხელში ჩავიგდოთ, ბაზარი უპოვოთ.

საჭირო იყო (თუ ასეთი მოიპოვებოდა) ძველი, გამოცდილი მუშაკი ინსტრუქტორის დანიშვნა, ამიერ კავკ. კოოპ. კავშირის ხარჯზე (ჯამაგირზე). ამითი დიდ სამსახურს გაუწევდა თვით რაიონს და აგრეთვე ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირს, საიდანაც შესაძლებელი იყო ნედლი მასალის მიწოდება, საქონელზე გადასაცვლელათ, რასაც ძლიერ საჭიროებენ.

კავშირის გამგეობამ ქალ. თვითმართველობასთან ერთათ აბრეშუმის პარკის დაგროვებას მოჰკიდა ხელი და დააგროვა 450 ფუთამდის, საერთო პირობებში, „მაზანდაზე“.

ქალაქმა გახსნა თავისი დუქანი. კავშირის გამგეობის რჩევამ ვერ გასჭრა, კერძო პირებთან შეთანხმებით სიმინდის აპერაციას აწარმოებენ, კავშირის მოქმედებას ძლიერ აფერხებენ სიმინდის ოპერაციაში.

დროა ქალაქის საბჭომ, სურსათის განაწილებაში, შეძენაში, განაღდებაში ბაზარზე, მჭიდრო კავ-

---

იმის ზღვა ქონებას. დამჯდარი ქალი...... აღარც ხომ მევარ მთლად ნორჩად-ნორჩი. და ისევ დოვლათი, მარად ქეიფი, სიმღერის ხმები, ეშხით ნავარდი. ვახ, საყვარელო!

ქალის უსტარზედ ლბილი პასუხი. ქალთან სტუმრობა. მიალერსება. ქორწილი დიდებული. ღმერთების ბინა. ეტლი. მსახური. განცხრომით ყოფა. ფული ჩეჩქივით. ისე უფრთხილდებოდა ქალი თავის ქმარს, როგორც თავის ფარლულს ფასდაუდებელს.

ერთი იყო როსტომისათვის ძნელი: ქალს ძალიან მოსწონდა თავი ტოლ-სწორში, რომ ტარიელისებური ქმარი იშოვა და ხშირადა მართავდა წვეულებას. მეჯლიშის დროს არა ჰშორდებოდა თავის ვაჟკაცს, თვალებით უალერსებდა. ისიც ვალდებული იყო ემჟღავნებინა თავისი მისადმი პატივცემა, ემზევლებინა თვის სიყვარული. ქუჩაშიც ამოეტოლებოდა, მიეკვრებოდა. თუ გინახავს ისინი ერთად სეირნობის დროს?

მართლა და უნდა შეეზავებინათ ცოლ-ქმარს ერთმანეთი: ესეა წესი, ამას მოითხოვს სავსება ოჯახისა, მისი კეთილი. უნდა შეევსო ვაჟის წამოსადეგობას ქალის დაჩიორება, ქმრის მტკიცე სვლასა ცოლის კეკლობა, ერთის სიყირმიზეს მეორის სიმუქე; ცოლის ჰქვიან თვალებს ფრთხილად მეტყველებს ქმრის ალქატი შეხედვა ზედაპირული,

* * *

— აფსუსი არ არის ეს თეთრ-ყირმიზი ვაჟკაცი ამ დუხჭირ არსებისათვის?! იტყოდნენ მკილავნი.

— ცოდვა არ არის ეს სიმდიდრე ულეველი ამ ფუქსავატ არსებისათვის, წარმოთქვამდენ მოშურნენი —

ვისაც რა უნდა ეთქვა, ეს ფუქსავატი კაცი და ოქროს მატყლოვან ვერძის მფლობელი გრძნეული კი ლამაზად თავსდებოდნენ ერთმანეთში, ურყევად მისრიალებდნენ ცხოვრების გზაზედ. კაცს მოწყენილი ჰყვანდა პირსუფთებიც კი და მხოლოდ იმისი ეშინოდა, არ შემწყდარიყო მისთვის უზრუნველი ცხოვრების დენა, ქალს დოვლათი თავსაყრელი ჰქონდა, კაცი დაჰლეოდა, რაინდი თვალთმტაცი, ოცნების ძალით სხივოსნებული. იცი: ოცნებით ავსებს თვის ნაკლს ადამიანი, მით უფრო ბუნებისაგან, თუ ცხოვრებისაგან გაძრცვილი კაცი. აქ სინამდვილედ იქცა ორი ოცნება და დაყუჩდა, დაემინდა ორივეს გული.

ეს ყველაფერი ამ ომიანობის წინ მოხდა, მსოფლიო ელეტამდინ, მანამ მოთავე ერები ერთმანეთს ამოიჭამდნენ დამონებულთა გასახარად. მსოფლი ბრძოლამ შეამძიმა ცხოვრება, შევიწროვდა ყოფა იალაღი ნაჩვევი ხალხისა; აიცერცნა, დასკდა კანი ნანაზი; გაუჭირდათ დღიურად მცხოვრებლებს თუნდაც მდიდრულად მყოფთ, მწვადივით რომ სჭამდენ შემოსულ სარჩოს ზედ შამფურზედვე.

— ბიჭო, ბიჭო, თუ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, თუ ჩემს მაკრინეს არ შევკავშირებოდი, დავიღუპებოდი! რითი უნდა გამოვკვებულიყავი, რა ჩამეცვა, რა დამეხურა, როცა ესე გაჭირდა ყოფა, სისხლის ფასად გახდა ყველა-

შირი იქონიოს კოოპ. კავშირთან, რაც საქმისათვისაც, ხალხისათვისაც და პრესტიჟისათვისაც დიდათ სასარგებლოა ვინემ კერძო სპეკულიანტებთან საქმის დაჭერა.

**ს. ხუხუნაშვილი.**

—:—

## ნატანების სარაიონო კავშირი.

22 ივლისს შესდგა ნატანების რაიონის კოოპ. კავშირის რწმუნებულთა ყრილობა (არა ჩვეულებრივი). თავმჯდ. ინსტ. შ. საბაშვილი, მდივნათ იყო მღ. გ. ნაკაიძე. ყრილობის მოწვევა გამოიწვია ადგილობრივ საბაჟოს ზოგიერთ მოხელეების და ვაჭრების მიერ შეთხზულმა არა სასურველმა ხმებმა. ისინი გაიძახოდენ: კავშირის გამგეობის წევრი ბ. თ-ძე ნარმის ოპერაციაში ძლიერ გასვრილი არისო. სარევიზიო კომისიამ დიდხანს იძია ეს საქმე და საქონელიც ასწერა, მაგრამ არავითარი არა სასურველი მოქმედება არ აღმოჩნდა პირიქით გამგეობის მუშაობა პირობებისდა მიხედვით სრული დამაკმაყოფილებელი და მადლობის ღირსიც შეიქმნა. რა კი გამგეობის წევრს ბ. თ-ძეს არაფერი არ დაუმტკიცდა, ყრილობამ სთხოვა—ისევ დარჩენილიყო გამგეობაში, რაც მან აასრულა. კავშირს 6 თვის განმავლობაში მოუგია წმინდა 56 ათასამდე. ყრილობამ საჭიროთ სცნო გაედიდებია ჯამაგირი გამგეობის წევრებისათვის 600 მანეთიდგან 1200 მანეთამდე; დიდათ პატივცემული, კავშირის სულის ჩამდგმელი, გამგეობის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრების წევრი ლიზა ბოლქვაძე ისევ დარჩა გამგეობის თავმჯდომარეთ უჯამაგიროთ, ვინაიდგან ის, როგორც დამფ. კრების წევრი, ღებულობს საკუთარ ჯამაგირს. საწყობის გამგეს და მის თანაშემწესაც ჯამაგირი გაუდიდეს 1000 მანეთამდე. ყრილობამ დაადგინა: აუცილებლათ შეიძინოს მოკავშირე კოოპერატივებმა საქართველოს კოოპერატიულ ბანკის ორ-ორი აქცია. მიიღოს ზომები ყველა კოოპერატივის წარმომადგენლებმა და გაადიდონ კოოპერატივში პაიები, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება. მიეცეს გამგეობას უფლება თუ საჭიროთ დაინახავს, მოიწვიოს საქონლის შემძენი. გასულ გამგეობის წევრის ი. ცე-ძის მაგიერ მოწვეულ იქმნება ერთ-ერთი გამგეობის კანდიდატი.

**ინსტ. შ. საბაშვილი.**

—:—

ფერი, როცა ლუკმას უთვლიან პირში ერთმანეთს თვით გულ-ჩვილები, დარდიმანდებიც?! ჰა, ჰა, ჰა! ამბობდნენ, ჭკვიანი ვერ არისო. შეადარონ ჩემს ზეიმს თავიანთ ჭკუის ნაყურთი! მინდოდეს, მორბედებად დავიყენებ იმ დაბრძნობილებს; ერთი თვალი კი ვუყო ჩემს მაკრინესა.

— მართალს ამბობ, მაგრამ დუხჭირი რომ......

— მოგცლია! გონჯი, დუხჭირი...... რა ყრია ურგებ სიმშვენიერეში?! უყურე ბადრ მთვარეს, ძლიერ გაძლები. მის ტოლა მჭ.... უმზირე ტურფად შლილ ყვავილს, კაბას ჩაგაცმევს ენიანს. კოხტა ჩენჩქერი ლამაზ რამ ბორცვთან, ჩექმებს ჩაგაცმევს ჭრიალ-პრიალს. სიმშვენივრე არზანივია, მხოლოდ, სანელი. არც წვენი გაქვს, არც ფოჩი, სანელის დაეძებ?!

— მაინც უნდა გითხრა: სიმშვენ........

— მაინც, ჩემო კარგო, ისიც გამოვცადე. ჰაი, ჰაი ვიგემე და ვიგემტკბილე! გეტყვი: ბოლოს და ბოლოს დაკვირვებული ადამიანისათვის ორივ ერთია ატლასის კანი თუ ხამი ტყავი, ერთსა და იმავე სანდომთან მიმყვანებელი. ფაიფურზედ მოგართმევენ საზრდოს, თუ ქაშანურით იმავ სანუკვარს....... ეჰ, მაინც რა ყოფილა სიმშვენივრე?! გარეგანი სახე საგნისა, უბრალო რამ ქერქი საფცქვნელი. შინაარსი ნახე შენ..... ჩრდილივით წარმავალია სახე თეთრი, თუ შემუქებული; ტანი ტანტანი თუ დაბალი, ბაჩა; წვივმწყაზარი ჯეირანივით, თუ სპილოს რამ ფეხი ან...... მკელობელი........

— ცხრა-ცხრა აღლია......

— კაცო, ამ ჩვენს როსტომს, დახე, გიორგის ჯვარიც მიუღია! თუ იყიდა?

— იყიდდა, მაშ თითონ ხომ არ გამოსჭედავდა, ალბათ დაიმსახურა: ტანი აკლია, თუ ფეხი! დახე, რა იარაღში ზის! მარტო რადა ღირს მოხრილი ხმალი მძიმედ შემკული!

შევხედე. თითით საჩვენებელი ვაჟკაცი ძვირფასად მკული, იარაღ სხმული. ერთი დამენანა: თუ არ შეიძლება ისე მარჯვედ მოეწყოს საქმე, ტყვიის მფრქვეველებიც აებასთ ჩვენ როსტომ გმირებს დასამშვენებლად?

* * *

გაძლიერდა ომი. გაჭირდა ყოფა. ხალხი აღელდა. იგრძნო სალტების მოშვება და შეიბერტყა: ფერხთ ქვეშ განერთხო დიდი უფალი. მოჰკრა ტოტი ამირანმა პატარ-პატარა ბატონებსაც. შრავალი განადგურდა. ბევრი გადიქანჯა, ზოგი ქალაქისაკენ გამოიქცა. რა წიოკობა, ვაივაგლახი, მეორედ მოსვლა! ვინ შეაყენებდა ბობოქრობას სტიქიონისა?! მართალნიც მოჰყვნენ მტყუანთ მუსვრაში. იმ ქვეყნად თუ განარჩევს ღმერთი, იქ თუ მიუზღავს.

დაირღვა ივანეს მეურნეობაც. დაანგრიეს, დააწიოკეს. განა ვისმე უშავებდა რასმე, მაგრამ საზოგადო რღვნა იყო მემამულეებისა და ყველა წალეკა, ვინც ხომალდში არ იჯდა. ჩამოვიდა ივანე ქალაქს. შეივრდომა ის დაწუნებულმა: რძალმა ზემო უბანში მოათავსა მაზლი და მისი ოჯახობა, ერთ-ერთ თავის სახლში. პატარა ბინა

## კვირიკეთის კოოპერატივი.

13 ივლის შესდგა სოფ. კვირიკეთის მომხ. საზ. „შრომის“ წევრთა კრება. ეს სოფელი დაშორებულია ოზურგეთზედ 2 ვერსით, მეზობელ კოოპერატივზედ კი $1^1/_2$—ვერსით; წინეთ ამ სოფლის კოოპერატივის გამგეობის წევრებათ იყვნ ვაჭრები, რომლებიც კოოპერატივს უყურებდენ ვაჭრული თვალსაზრისით და ხალხს სულ აუცრუეს კოოპერატივზედ გული; როდესაც ისინი ჩემი წინადადებით გამოცვალეს, მათ დაცინვას საზღვარი არ ქონებია და თანაც საზ. კრებაზედ განაცხადეს: „მაგ თქვენს კოოპერატივს ერთ თვეში გამოეკეტება კარებიო“. მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. ვინაიდგან გამგეობის არჩევა გაძნელდა და პირადათ ვსთხოვე იქაურ მასწავლებლებს ხალ. ბარამიძეს და ელენა კალანდარიშვილისას გასულიყვენ გამგეობაში, ისინი დავითანხმე და ხალხმაც ერთხმათ აირჩია.

13 ივლისს კრებაზედ მოხსენდა წევრებს მათი მუშაობის შესახებ და წევრები სრული კმაყოფილი დარჩენ და მადლობაც უძღვნეს სინდისიერ მუშაობისათვის. ეხლა შედარებით წევრები უფრო კარგათ უყურებენ კოოპერატივს, საქონელიც შედარებით იაფად იყიდება. კრებამ დაადგინა, რომ კოოპერატივმა შესძლოს წევრების დაკმაყოფილება და გამგეობას საშუალება მიეცეს შეძლების-დაგვარათ კარგს გზაზედ დააყენოს მათი საზოგადოება—გაადიდონ საპაიო ფულები—ათი მანეთიდან—50 მანეთამდე, რაც გადაწყდა ხმის დიდი უმეტესობით. კრებამ დაავალა გამგეობას მოიწვიოს წიგნების მწარმოებლათ ქალაქის თვითმართველობის ბუღალტერი, ადგილობრივი მოსახლე კოსტა ცერცვაძე და მიეცეს გასამჯელო რასაც კოოპერატივი შესძლებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კოოპერატავი თავის სიმაღლეზედ დადგება და იქაური ვაჭრების ყოველგვარი ხელის შეშლა დაძლეულ-იქნება.

—:—

## ვაკიჯვრის კოოპერატივი „ერთობა“.

27 ივლისს შესდგა სოფ. ვაკიჯვრის მომხ. საზ. „ერთობა“-ს წევრთა კრება; გამგეობის მოხსენებიდან ირკვევა, რომ საზოგადო დუქანს 6 თვის განმავლობაში მოუგია 8643 მ. 72 კაპ. აქაც დაისვა კრებაზედ გამგეობის წინააღმდეგ ბრალდებები ნარმის გაყიდვის შესახებ, მაგრამ არც ერთი ბრალდება არ დამტკიცდა. გამგეობის წევრი ი. არ-ძე, რომელსაც

---

იყო, მაგრამ მუქთი და ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავდა, მადლობასაც სწირავდა ღმერთს ნაშოვნის გამო. ქალი სუფრის ნაბერტყსაც უგზავნიდა, ახალ ლაზარეს, ნაცომ-ნახმარითა ჰმოსავდა მის ჯალაბობას: დუხჭირ სხეულში ლმობიერი გული ყოფილიყო დავანებული, ბოროტის მიმტევებელი. რატომ?! შეიძლება თიხის ჭურჭელში ნელსაცხებელი სუნწელოვანი და ბროლისაში საჭრაქე ზეთი ჩამწარებული.

ისევ მასწავლებლობას მიჰმართა ივანემ. მისცეს ადგილი. რა უგემურად შეუდგა თავის ხელობას! იმ ნაკვეთს რომ გადასცემდა ცოდნის, რომელიც ერთხელ ზეპირად ესწავლა, მოწაფედვე ჰგონებდა თავის თავს და..... ბოლმით ივსებოდა.

— რად მინდოდა იმოდენა ოფლის ღვრა ან შაგირდობის დროს, ან მერმე სახლში?! მევლო მაშინვე როსტომის გზაზედ და.... ჯანსაღი ვიქნებოდი, პირმოღიმარე, ბედის ხელში მჭერი.

— შენა გგონია? ქუდბედი რომ არა გქონდა დაყოლებული.

ცხოვრობდა ივანე, გული კი ღვარძლითა ჰქონდა სავსე: ხალხზედ ჯავრობდა, ქვეყნის გამგეებზედ, ცხოვრების მღელვარე დენაზედ, ღმერთზედ, რომელიც თითქო შეუძლურებულიყო. რაც ხანი გადიოდა, ღვარძლი იზრდებოდა, თავ-თავს ისხამდა, მარცვალს ისრულებდა. კეთილის მყოფელებსაც კი ბოროტი სიმთვრალით დაათრობდა ეს ღვარძლის ხვავი, თუ შესძლებოდა ივანეს. ვერ იყო მხარგრძელი, ვერ მისწვდებოდა! რა შეეძლო დაჩიორებულს?! პირში ღიმილი, გულში ბრმა შური. მისი მეუღლე წინად რომ დაცინვით დასცქეროდა გონჯ მაკრინესა, თუმცა მაშინაც მოწიწებასა გრძნობდა მის დოვლათის წინ, ეხლა შესტკბობოდა კეთილის მყოფელს. საკვირველება: ხორცთა ყვავილოვნებითაც თითქო დაახლოვებოდა ამ დამქანცველ დროს დამალონებელს. შემჭკნარიყო, ჯავრს აესერ-დაესერდა მისი შუბლი, ბაგეთა არე; დაჰკარგოდა სხივოსნობა, როგორც რამ ყვავილს სიცივე დაკრულს. კიდევ ცოტა და მაკრინე სხეულის სიკეთეშიც დაუტოლდებოდა თავის ლამაზ რძალს, სხვა ყველაფერში მის მჯობინარე.

— რას ამბობ, კაცო, მახინჯი მაკო დაედარებოდა მაზლის ცოლს ლამაზს?!

— მომიბყარ ყური! სიცოცხლის გაზაფხულის ჟამს სიმშვენივრე ყვავილთა შემამკობელი დედა რტოისა, თაიგულად მსახველი მისი. ჟამიერთ იგი ყვავილი, მსწრაფლ წარმავალი. ნახე ზამთრის პირს კარდის ბუჩქი და კვრინჩხის ჯაგი. რა გარჩევაა? რა ბედენაა? კვრინჩხი სჯობია ვარდს მსხმოიარე. დამცინავე ღიმილით შეჰყურებს ის სილამაზიდან გაძარცვილ ვარდის ბუჩქს. რას წაართმევს კვრინჩხს თუნდაც სიცივე? „ტიტველა კაცი ცხრამ ვერ გაძარცვა“.

მითვალიერებია მშვენება გაზაფხულისა შემოდგომაზედ, ფერნაცვალი სილამაზე გაფითრებული. დამიკრავს თვალი ყვავილისათვის მის ზამთარშიაც. ვახ, დაღრეჯი-

გაულია თავისი სასადილო, ჩემი წინადადებით კრებამ გაანთავისუფლა გამგეობის წევრობიდან,—მადლობა უძღვნა ნაყოფიერი მუშაობისთვის და 1000 მან. დააჯილდოვა. დახმარება აღმოუჩინა კრებამ 3100 მანეთის მიცემით იქაურ მცხოვრებს ნიკოლაიშვილს, რომელსაც დაეწვა სახლი და სარჩო—სიმინდი. ეს კოოპერატივი შედარებით ძლიერია; იმყოფება ბახმაროში მიმავალ გზაზე. წიგნების წარმოება მშვენივრათ არის დაყენებული. მოწვეულია ბუღალტერი კ. გიორგაძე, რომელსაც, როგორც სჩანს, სინდისიერათ უმუშავნია.

**ინსტ. შ. საბაშვილი.**

---

# ოქმი

## ზუგდიდის მაზრის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობის.

(გაგრძელება*).

**ან. ანჯაფარიძე.** ძნელია საზოგადო მოღვაწეობა, საზოგადო საქმის კეთება. მაგრამ თუ მოღვაწე პირნათლად ასრულებს თავის საქმეს ის კრიტიკას არ შეუშინდება. ჩვენ გამგეობისა და სარევიზიო საბჭოს მოხსენებით გადავიდეთ გამგეობის საქმიანობის დაფასებაზე. აქ მოვისმინეთ ამიერ კავკასიის კავშირის წარმომადგენელის სიტყვა, სადაც ის აღნიშნავდა, რომ საქმე ასე თუ ისე გაკეთებულია. ეს იყო გუშინ საღამოს. ამ დროს შერიგების პოზიციაზე იდგა კრება. შეტევაზე გადასვლა დღეს დაიწყო. ეს ლატარიამ. ამის შემდეგ კ. კობახიძემ აღნიშნა, რომ ლატარიის სიტყვები უსაფუძვლო იყო, მაგრამ თუ რაში გამოიხატებოდა ეს უსაფუძვლობა—მას არ უთქვამს. შემდეგ მდგომარეობა გაამწვავეს და თავმჯდომარეს წამოუყენეს ს.-ფ ბრალდება—სოდის ყიდვა და კერენსკის ფული. ამის ერთ-ერთი საბუთი ამოდის გამგეობის წევრის კეშელავას ჯიბიდან. სად იყო ეს წევრი აქამდის? ლატარიას რომ აძლევენ პასუხის გებაში, რატომ კეშელავას არა. აქედან ლოღიკურად გამოდის: დღეს რომ ჩვენ შეტევაზე არ გადავსულიყავით, თუ ეს ბოროტ-მოქმედებაა, ეს ბოროტ-მოქმედება დარჩებოდა დაფარული. ამ ბოროტმოქმედებას მე პირადათ არ დავტოვებ და მივმართავ არა სოც.-ფედერალისტურ სასამართლოს არა-მედ საზოგადოებას. ეხლა გადავდივარ ბრალდების შეფასებაზე. ბრალდება მაშინ იქნება ნამდვილი, თუ ისინი წარ-

*) იხ. „კავშირი“ № 19—20.

---

ლო! ოხუნჯია ბუნება, ბოროტად მოღიმარე: ლამაზს გადაჰხდის ცისარტყელის ფერს, მისრეს-მოსრესავს, ანაცრისფერებს, დააკოხუნჯებს და ზურგს შეაქცევს. ღმერთო ჩემო! ნუ თუ ეს ის მშვენებაა, აგერ სურათზედ რომ იღიმება ვარდის კოკორი ახლად ნაშობი?! ტყუილს მოჰითხრობს; სხვის სახეს იჩემებს დუხჭირად ქმნილი, ფერიას იერს გონჯი არსება!

გულს იოხებდა ეხლა მაკრინე: მისი ქმარი ხომ სჯობდა და სჯობდა დაბეჩავებულ ივანეს, თითონაც აღარ ჩამოუვარდებოდა თვის მაზლის ცოლს სახე შეშლილს. ფეხიც რომ გასწორებოდა! კოხტად მოწყობილ მაშიაში მხოლოდ, კელობდა, თითქო ფელჩობდა, როცა გვერდით მისდევდა თავის რძალს დაფრახებულს.

* * *

და მოდუღლავდა ცხოვრება მღვრიე, არა სცხრებოდა, მოაქანებდა საზარელ ზვირთებს. ხიდებს სწვდებოდა, ჰგლეჯდა სავალ გზებს. ვისაც თავისი თავი უზრუნველყოფილი ეგონა ყოველგვარ ბოროტ ცვლილებათაგან, მასაც შიში იპყრობდა ჟამითი-ჟამადი, ფერი მისდ-მოსდიოდა. მცოდნენი თვალს ადევნებდნენ მდინარის ბობოქრობას, გამაღლებულ მის ტალღებს შავ-ბნელად აგორებულებს; თვალს აყოლებდნენ ზვირთებზედ მოცეკვავე ხერგს თუ ნარიყსა, ძირიანად გლეჯილ წიფლებს, მთელ სოფლის ნალეწს ან მოტივტივეს. იტყოდნენ: ეხლა ეს შემდინარე ადიდდა, ეხლა ისაო. წარღვნის სადენლად იყო ცა შებნელებული. მიწა აღარ იშრობდა მაღლით ნაშხეპ ღვარს. გაშმაგებული მდინარე ცხოვრებისა ველარ ეტეოდა სადინარში, მთელი ქვეყნის წალეკვასა ლამობდა. ძირიანად იყო შერყეული ცხოვრება კაცობრიობისა. ყველგან განსაცდელი ელოდა წინანდელ სახეს არსებობისას. ძრწოლით ელოდნენ მომავალს მყუდროდ მყოფელნიც, ჯერ ისევ გამარჯვებულნიც.

— კაცო, რატომ, რას იტყვი მაშინ, ცხოვრების ტალღა დაუნდობელი რომ შენც შეგეხოს, შენს უძრავ ქონებას: ქალაქის მამულებს?

— როგორ თუ შემეხოს?! ვისი რა მმართებს?

— ვისი ემართა შენს ძმას ივანეს? თუ იმას ჩამოართვეს ზედმეტი მიწა და მხოლოდ ის მიუბყრეს რასაც შეუძლიან აცხოვროს მშრომელი ოჯახი, შენ რაღა ხარ?

— ჰა? თითქოს სახუმროს არ მეუბნები...... მაგრამ, ეჰ, კარგი ცურვა ვიცი და ავყვებ-დავყვები ცხოვრების ტალღას. მაინც რად მეტყვი მაგას? სად მიწა, სად შენობები?!

— როგორ თუ სად?! ესეც სხვის ხელით და სხვის ზურგზედ შეხვავებული დოვლათია რჩეულებისათვის დანაგები, ისიც. გარჩევა მხოლოდ ერთია: ის სიმდიდრე არის გაშლილი დალოცვილ ქვეყნის პირზედ, ეს საუნჯე ზედიზედ არის მწყობრად დალაგებული, ცისკენ აზეული ლაჟვარდ სივრცისკენ. ფუფუნების ეს ყუდე კიდეც სჯობია იმ სავანეს განცხრომისას: შრომა ნაკლებად უნდა, ხვავი მეტი აქვს.

მოგვიდგენენ საბუთებს, მაგრამ სოც.-ფედ. ფრაქცია არ გვიჩვენებს, ბოროტ-მოქმედების ჩადენის დროს და არც მოწმეებს. ნება მიბოძეთ ვთქვათ, რომ ჩვენ მარტო ცარიელ სიტყვებზე დამყარება არ შეგვიძლია.

**გოგებაშვილი.** მე როგორც ვხედავ, თუ ასე გაგრძელდა კრება, არა თუ დღეს და ხვალ, მგონია, რომ ეს ერთ კვირაში არ გათავდება. აქ, როგორც გუშინ გითხარით კინკლაობას აქვს ადგილი? ერთ პარტიას უნდა მეორეს მოახვიოს, ერთი გამგეობის წევრი მეორეს კბენს, და ამით არაფერი არ კეთდება. პირიქით აქ საზოგადო საქმე ფერხდება. რამდენიც არ უნდა გაგრძელდეს ეს კრება მისი გათავება არ იქნება თუ არ შეიცვალა მისი მიმდინარეობა. აქ წამოაყენეს ბრალდება, რომლის დამტკიცება შეუძლებელია და ამ დამტკიცების პროცესში უფრო მეტ გაუგებრობას ექმნება ადგილი და ზედმეტ ჭორებს დაბადებს. ამიტომ საჭიროა გამოვნახოთ შემათანხმებელი საშუალებანი და საქმეს მოვრჩეთ. ამას ვხედავ გამგეობის დარჩენაში თავის ადგილზე და ბრალდების გადატანას იქ, სადაც ჯერ არს. თუ არა და საზოგადო კრება ამას ვერ შესძლებს. ავირჩიოთ კომისია, რომელსაც ამ საკითხის გამორკვევა—გამოძიებას დავავალებთ.

ამის შემდეგ სოც.-ფედ. ფრაქციამ დასტოვა დარბაზი. კრებამ გოგებაშვილის სიტყვის შემდეგ გაუგზავნა დელეგატები სოც.-ფედ. რომ ისინი დაბრუნდენ და სოც.-დემოკრ. ერთად მიიღონ მონაწილეობა ბრალდების დამტკიცებაში.

მათი პასუხი: ბოდიშს ითხოვს ფრაქცია, რომ მან დასტოვა დარბაზი, მაგრამ პარტიული დისციპლინა ამბს მოითხოვს, და ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავით. ჩვენ წავედით იმ დაბარებით, რომ პასუხის გებაში მიცემული ყოფილიყო ლატარია. მაგრამ კრებას მოუთხოვია, რომ ჩვენ აქ მოვსულიყავით და გასამართლებაში მონაწილეობა მიგვეღო. ჩვენ შეგვიძლია დავთანხმდეთ თუ ამისთვის შესდგება პარტიული კომისია ამ საკითხის გამოსარკვევად.

**ალ. ჩიქავა.** ერთი პატარა ჯგუფი ულტიმატუმს უყენებს კრებას. მე ამისთანა დიდ ყრილობაზე ეს უხერხულად მიმაჩნია. რა იქნებოდა, რომ ისინი აქ ჩვენთან დარჩენილიყვენ და შემდეგ კრებას გამოერკვია ეს საკითხი ასე თუ ისე, მაგრამ ეს მათ არ ისურვეს და ულტიმატუმს გვიყენებენ. მე არაფერი საწინააღმდეგო არ მექნებოდა ამნაირი კომი-

---

— მერმე რაო?

— მერმე ის, რომ ხალხი პირდაპირ დადის მსჯელობის სადენზედ, მკაცრი მართმსაჯულია ის და მეშინიან, თქვენც არ დაგიდგეთ განკითხვის დღეი.

— ახლა მაგაზედ მაფიქრე და ეგ მადარდე! რაც იქნება, იქნება: რაც ღმერთმა გამაჩინა, ის ღმერთი დამარჩენს.

მართალი იყო როსტომი; რომელი ღმერთიც აქამდინ ასაზრდოებდა მას, მურანფელს უზრუნველს, იგივე ღმერთი ცდილობდა ეხლა მის დამარჩენად: ჭკვიანი მაკო ვერცხლ აქუჩებდა, ოქროს ბჭყვრიალას, ლითონის ზოდებს. ზედმეტი მამული წინადვე გაყიდა, ფულად აქცია, ნივთად ძვირფასად; ეხლაც ახერხებდა მოჭარბებულის განაღდებას. და თუ ცხოვრების დენა აუცილებლად მოითხოვდა მისგან მსხვერპლად ქალაქის მამულების ნაწილს, გაიღებდა ამ გასატანს; მაინც ხელცარიელი არ დაჯდებოდა, არ დასტოვებდა უნუგეშოდ საკუთარ რაინდს, თვის სიამაყეს. ქუდბედი დაჰყოლოდა მოხდენილ როსტომს.

**ვასილ ბარნოვი.**

ივლისის 27/1919 წ.

---

# გზა და გზა.

(ინსტრუქტორის შთაბეჭდილებანი).

—:—

როგორც ფუტკარი—გადავდივარ ერთი კოოპერატივიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ამგვარად მიმდინარეობენ ჩემი მუშაობის დღენი. მხოლოდ ჩემსა და ფუტკრის მუშაობის შორის დიდი განსხვავება არის. ფუტკარი ყვავილიდან ყვავილზე გადადის ტკბილი ნექტარით და საამო სურნელებით დატვირთული, მე კი ასეთ სასიამოვნო ტვირთს მოკლებული ვარ. ის, რასაც კოოპერატივებში ვნახულობ, სრულებით არ მაგრძნობინებს სიამოვნებას და კმაყოფილებას, პირიქით, მწარე ფიქრებს მიშლის და თვალწინ მიხატავს მთელს სიმახინჯეს ჩვენი კოოპერატიული მოძრაობისას. ასეთი განცდა კოოპერატივში მაიძულებს უკანასკნელი ძალღონის მოკრებას და ერთგვარ სულიერ საბრძოლველად მზადებას. დიახ, საბრძოლველად, ვინაიდან სხვაფრივ ვერც წარმომიდგენია ინსტრუქტორის მუშაობა. ცოტა ნერვების სიმტკიცეს, ნერვების სიმაგრეს და ენერგიას კი არ მოითხოვს ის საქმე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით! მიბრძანდით და გაერკვიეთ დომხალივით არეულ საბუთებში და შემდეგ უმტკიცეთ და დაარწმუნეთ საზოგადოება კოოპერატივში არსებულ გამგებლობის წესის უვარგისობაში. ამასთან ერთად—პრაქტიკულად ცხოვრებაში გაატარე კოოპერა-

სიის, მაგრამ არის მოსალოდნელი, რომ აქ სხვა რამემ იჩინოს თავი და კიდევ ულტიმატუმი წამოუყენოს კრებას ამ ჯგუფმა. ამის შემდეგ იქმნა შემოტანილი წინადადება: გაეგზავნოს სოც.-ფედ. მოციქული, რომ ისინი მოვიდენ, თუ მათ უნდათ ჩვენთან მუშაობა, თუ არა და მათი ნებაა. შუადღის ორი საათი შესრულდა.

ფედერალისტების სალამოს კრებაზე ჩვენ მოვალთ იმ შემთხვევაში თუ კრება განაცხადებს თანხმობას კომისიის არჩევისას და ოქმში ჩაიტანება.

ამ საკითხის გარშემო, მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: შეწყდეს მოლაპარაკება ფრაქციებთაშორის და კრება გადავიდეს საკითხებზე. **ტ. ლატარია.** სთხოვს პრეზიდიუმს, რომ მისი პასუხი ბრალდებაზე ჩაწერილ იქმნას ოქმში.

**კ. ბუკია.** „როდესაც აქ ლაპარაკობდენ კეშელავას წინაალმდეგ, რომ ორი მილიონი დაუჯდეს ფედერალისტებს მაინც დაგიმტკიცებთ წინაალმდეგსო“. სოც.-ფედერალისტების პირველ დებულებაზე, რომ კერენკები იყო გაყიდული ამის დასამტკიცებლად ვერაფერი ვერ მოუყვანია და მის წინაალმდეგ მე არაფერი მეთქმისო, მათ უნდა ქონოდათ რამე, რომელზედაც შეიძლება მე დამყარებულიყავი გასამართლების დროს. რაც შეეხება სოდის საკითხს—ეს მე ოფიციალურად ვიყიდე და წიგნებშია გატარებულიო.

**ჯორჯიკია.** ერთ დღეს, როდესაც ის ანგარიშს აწარმოებდა კავშირში ჯოლოგუას, რომლისთვისაც თურმე სოდა დაექირათ ანაკლიაში უთქვამს, რომ ეს სოდა ზუგდიდის კავშირის არისო. ანაკლიიდან შეატყობინეს თურმე ფოთში საბახტარაშვილს, და ამ უკანასკნელს მიუცია წინადადება კავშირისთვის წაეღო სოდა. კეშელავაც ამ დროს იქ იყო (კავშირში). „კერენსკის“ ფულებზე შეკითხვის გამო, ბუჰგალტერი **პაალი** (რუსი) აცხადებს, რომ მან მიიღო მარტის რიცხვებში ჯამაგირი სამი ათასი მანეთი ათას მანეთიანები და 25 თუმნიანები, რასაც არ ექნებოდა ადგილი, რომ გამგეობას ჰქონოდა მიზნათ სპეკულიაცია.

**ქავჟარაძე.** სამწუხარო მოვლენაა ის, რომ გამგეობის წევრების გაკრიტიკებამ ასეთი მწვავე ხასიათი მიიღო და ამით ჩვენ თავიდანვე დავდექით მოლიპულ გზაზე. მე მეშინია, რომ იმ გზაზე შევრჩეთ ბოლომდის.

აქ ფრაქციამ—(თუმცა ფრაქცია არ უნდა იყოს

---

ციის მოძღვრების მაღალი აზრები. ეს ჯოჯოხეთური სამუშაო, რომელიც პირდაპირ აღემატება კაცის ძალას.

ყოველივე ეს სხვათა შორის მოვიხსენიე. ისე კი ამ წერილში მინდა პატივცემულ მკითხველს გაუზიარო მუშაობის დროს ნახულ-გაგონილი, რომელიც არ არის ინტერესს მოკლებული.

დაღლილ-დაქანცული, ფეხით ნავალი, კითხვა-კითხვით მივედი რაიონის ერთ-ერთ კოოპერატივში. საერთო მისალმების შემდეგ გავაცანი ჩემი ვინაობა, და მისვლის მიზანი ავუხსენი დახლში მდგომ პიროვნებას, რომელიც კოოპერატივის გამგეობის უცნაური წევრი გამოდგა. მისი მყუდროება უცბათ შეიცვალა და მისი სახის გამოხატულება მეუბნებოდა:—უმჯობესი იქმნებოდა სრულიადაც არ შეგეწუხებინა თავიო.

ცოტა ხნით ჩამოვარდნილ სიჩუმეს ისევ მე ვარღვევ.

—გამგეობაში მარტო თქვენ ბრძანდებით თუ ამხანაგებიც გყავანან?

—სამნი ვართ გამგეობაში.

—ჯამაგირს როგორ ღებულობთ, ან მოვალეობანი როგორ გაქვთ დანაწილებული?

—მე ნოქრათ ვითვლები, ერთიც საქონლის შემძენელია და მესამე კი თავმჯდომარეთ ირიცხება.

ჯერ-ჯერობით არა ჩვეულებრივი არაფერია, ყველანი თავის ადგილას ყოფილან პირველი შეხედვით, მაგრამ კაი რომ ეს ასე არ არის.

—მე, ბატონო, მოგების ათი პროცენტი მიმაქვს ნოქრათ რომ ვითვლები, ხოლო საზოგადოებას ხუთი მიაქვსო,—მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ.—ამ ხუთმა პროცენტმა უნდა დააკმაყოფილოს დუქნის ქირაც.

—დუქანი ვისია?—ვკითხულობ.

—აქ რასაც უყურებ, ბატონო, ყველაფერი მოწყობილება ჩემია, დუქანიც ჩემია; უწინ მე ვვაჭრობდი აქ.

ამის შემდეგ გამიბა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ გახდა საზოგადო და რა დიდი შრომა დაუხარჯავს მას **„კოოპერატიის“** გახსნის საქმეში. საზოგადოებასაც დაუფასებია მისი ასეთი საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაობა და **„კოოპერატიაც“** მისთვის ჩაუბარებია. დიდი სარგებლობა მოუტანია საზოგადოებისათვის: ექვსი თვის განმავლობაში 1000 მ. მოგება უჩვენებია. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაინტერესებულ პირთ დაუციათ მისი „კაბინეტი“ და თითონ გამეფებულან. ამ დროს კოოპერატივის მთელი ავლა-დიდება გადადის იმ დაინტერესებულ პირების შენობაში. იმათ ხელში კოოპერატივს ზარალი უნახავს. ამ ხნის განმავლობაში ჩემს მოსაუბრეს ისევ მოუხერხებია და საზოგადოებას **ძალით** მოუხვევია თავზე კოოპერატივის საქმეების გაძღოლა. მასაც თავს უდვია ეს ტვირთი და კვლავ გაღებულა მისი დუქნის კარები. მისი ეშმაკური თვალები ცბიერათ დასრიალებდენ თვალის უბეებში და ყოველი მათი მოძრაობა ააშკარავებდენ თავდადებულ გამგის არა კეთილ საიმედო პიროვნებას.

არამედ ჯგუფი) სამსახური გაუწია კეშელავას, რომელსაც უკეთესათ შეეძლო დაეცვა თავისი თავი.

**ანჯაფარიძე**. მესამე დღეა რაც ვარჩევთ საქმეს, და თქვენთვის ცხადია სურათი კავშირის გარშემო. საბჭოს, რომელიც თქვენ გიკეთებდათ მოხსენებას—მაშინ არ ჰქონდა სახეში რომელიმე პირი, არამედ მთელი გამგეობა. ცალ-ცალკე წევრებისთვის დეფექტებზე მას არ მიუთითებია.

დასასრულ ის ამბობს, რომ გამგეობა უნდა იქნეს დასმული საბრალმდებლო სკამზეო. ასეთია ჩემი შეხედულება მთლიანათ გამგეობაზე და მის დაფასებაზეო.

**კეშელავა**. მე ბოლო ხანში შევედი გამგეობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში რამე დეფექტები არის მუშაობაში, ამაში მე მარტო არ მიმიძღვის დანაშაული, არამედ ჩემთან ერთად დანარჩენ წევრებსაც.

ავტომობილის შეძენის დროს მე ვიყავი კანდიდატი, მაგრამ მე გამგეობის მუშაობაში არაფერი მონაწილეობა მიმიღია. როდესაც მე მომმართეს ავტომობილის საშოვნელად მე უარი ვუთხარი; ამას დრო უნდოდა, მე კი არ მქონდა დრო. $1\,{}^{1}/_{2}$ თვეს მე როგორ შემეძლო ისე ტყვილად მემუშავა. მე აქ ზედმეტი ფასი თუ ავიღე ეს ჩემი და გამგეობის საქმე იყო, და არაფერი დანაშაულობა ამ საქმეში მე არ მიმიძღვის.

„ვის სახელზე იყო ავტომობილი გამოტანილი“-ო? კავშირის სახელზე, მაგრამ როგორი ავტომობილი იყო! გაკეთება უნდოდა, ამას კი შრომა უნდოდა და მეც გასამრჯელო ავიღე. ამაში ცუდ რასმეს ვერ ვხედავ. მე 3 ათასი მანეთი მივიღე. 11 ათასი მანეთი გასაკეთებლად დაიხარჯა.

დასასრულ: ის ამბობს: რომ მას მეტი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამა წლის 6 თვეში. თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა გაუწიოთ ანგარიში ამ წლის ჩემ შრომას და დამაფასოთ წლიური ანგარიშის დროს.

უკანასკნელი სიტყვა ეკუთნოდა.

**ტ. ლატარიას**. მან განაცხადა, რომ თითქმის ყველაფერი ის, რაც უნდა ეთქვა, უკვე ნათქვამია. ის უმატებს შემდეგს: აქ კრიტიკაზე იყო ლაპარკი. მე წინააღმდეგი არა ვარ კრიტიკისა, პირიქით ის პირი, რომელიც კრიტიკას არ ემორჩილება არც კია ღირსი აქ იყოს და მას აკრიკტიკებდენ.

კავშირი 1917 წლიდან არსებობს. სოფლის

---

—თქვენ დანარჩენ გამგეების ჯამაგირზე მეკითხებით? თავმჯდომარე არაფერს იღებს, მხოლოდ საქონლის მომტანი—რამდენი მანეთის საქონელსაც მოიტანს, იმდენ შაურს იღებს და ამის გარდა დღიური 100 მ. ეძლევა. სარევიზიო კომისია არ გვყავს. ფასს ჩვენ ვადებთ,—მე და საქონლის მომტანი. ვადებთ 20 %. ორ შაურს ჩემთვის, შაურს საზოგადოებისათვის და შაურსაც ნასესხები ფულებისთვის.

—არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეტი პროცენტი დაგვედო. კი, მართალია, სარევიზიო კომისია არ გვყავს, მაგრამ რა საკადრისია მეტის დადება. ნაკლებს კი ხშირად ვადებდით.

აშკარა ტყვილებს რომ ასაღებდა დარწმუნებული იყო მასში, მაგრამ ლაპარაკობდა, მიტომ რომ; მოდი ერთი, იქნებ დავაჯეროვო. საოცარი უსუფთაობა მეფობდა კოოპერატივში. მეც მწარე ფიქრებით გარემოცული შეუდექი ანგარიშის შედგენას. საბუთებათ მხოლოდ ანგარიშის ბლანკები ვიხმარე, ვინაიდან წიგნების წარმოება არ იყო და ან რა ხელს მისცემდა ჩვენს პატივცემულ გამგეს ეწარმოებინა წიგნები! გავათავე ანგარიშის შედგენა და საზოგადო კრებაც მოვიწვიე კოოპერატივის ცხოვრებაში რეფორმების მოსახდენათ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უცნაური კრება გამოდგა! საცოდავნი, როგორ სავსებით დაუფლებიან წევრებს სოფლის ბაცაცები და ჩარჩები. მათ სავსებით შესძლეს თავისი ბნელი საქმის გაკეთება და საზოგადო კრება ისე დიაშალა, რომ რაიმე ლაპარაკი კოოპერატივის განახლების შესახებ შეუძლებელი შეიქნა. თითქმის გასაგონად ლაპარაკობდენ, რომ ეს ვილაც მოსულა ეხლა მაგი შეჭამს და შვიდობით ჩვენო კოოპერატივოო. საბრალონი!.. ეხლაც თვალწინ მიდგას საუბარი ერთ სოფლის დედაკაცთან.

—შვილო, თქვენ კომპერატიების ლევიზორი ბრძანდებით?

—დიახ,—უპასუხებ.

—ალბათ დიდი გაქვთ, შვილო, გამორჩენა; შეგარგოთ მამა ზეციერმა ღმერთმა დედის რძესავით, ყველა ჭამს, შვილო, და შენც ჭამე; როგორ, სხვაზე ნაკლები ჭამა გეცოდინება, შვილო? რაკი გაგიცანი, იმედი მექნება მატყლს ბევრს მიშოვი, ხომ-კი გაქვთ, შვილო, მატყლი?

ცოტა არ იყვეს ასეთმა გულწრფელმა მათმა სურვილებმა უხერხულობაში ჩამაყენეს და თავის მართლება ვიწყე. ვეუბნები ჩემს მოსაუბრეს, რომ მე, პირიქით, ასეთებს დავეძებ და ესეც რომ არ იყვეს, ქეც რომ მინდოდეს რაიმე მოვიმოქმედო, პირობები ხელს არ მიწყობენ-თქო და მრავალი სხვა მოვიყვანე საბუთებათ, მაგრამ მისი გადარწმუნება ვერ შევძელი. ეშმაკურის ღიმილით ორთით შუა ცალი თვალით გამომხედა და მნიშვნელოვანი თავის ჩაქნევით მანიშნა: „მიგიხვდი ტყვილს რომ მეუბნებიო“. შეიძლება პატივცემული მანდილოსანი და მასთან ერთად სხვებიც, რომლებიც ეგრე მსჯელობენ, თავიანთ დასკვნაში მართალნი იყვნენ; შეიძლება ჩვენი ცხოვრება ისე დაკნინდა და დაქვეითდა, რომ საზოგადო

კოოპერატივებმა კავშირის გამგეობას მხოლოდ 20—25 ათასი მანეთი გადასცეს. გამგეობის მხნე მუშაობით აიხსნება ის, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში რამოდენიმე ასი ათასი მანეთი შეიძინა კავშირმა და კულტურულადაც წინ წაიწია. შესაძლებელია ამ ნიადაგზე გაკეთებულიყო უფრო მეტი, მაგრამ ჩვენში თანამედროვე ცხოვრების პირობები იმნაირი იყო, რომ ჩვენ ინტელიგენტური ძალები აქ არ გვყავდა და ცენტრი არ გვიგზავნიდა.

რაც შეეხება კავშირის სახელზე პროცენტების გაწერას, მე ვიყავი ყოველთვის მომხრე მეტი პროცენტებისა, მაგრამ მე გამოვდივარ კოოპერატივების პროცენტებიდან. მხოლოდ ეკონომიურ ღონისძიებაში არის დაცული კოოპერატიული პრინციპი. იყო საჭირო სხვა და სხვა კულტურული საქმიანობა და ამისთვის თანხა საჭირო იყო და მას ვეძებდით. თუ კი კოოპერატივი გაუწევს მეტოქეობას, კერძო ვაჭრებს უკანანკნელნი დასამარდება. ჩვენი კავშირი, შემიძლია ვთქვა, რომ გაცილებით იაფ ფასებში ყიდდა საქონელს, მაგრამ მას კონკურენციის სახე არ ქონდა. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ კავშირი საერთოდ საშუალოდ 20—25 $^0/_0$ დამატებით ყიდდა საქონელს. კერძო ვაჭრები კი საშუალოდ 50—5000 $^0/_0$ მეტად ყიდდა ასეთ საქონელს. ამ შედარების შემდეგ ვგონებ არ ითქმის რომ კავშირი დიდი $^0/_0$ $^0/_0$ ადებდა საქონელს.

### 11 იანვრის სხდომა.

კრება იხსნება **მ. ვეკუას** თავმჯდომარეობით. მდივანი დ. კიტია კითხულობს წინა დღის ოქმს. ოქმში ზოგიერთი შესწორებები იქნა ს. კეშელავას მიერ შეტანილი კრების დასტურით.

ტ. ლატარიას შემოაქვს განცხადება, რომ მას ავათმყოფობის გამო არ შეუძლია დარჩეს კრების ბოლომდე. ამიტომ ითხოვს მისცენ მას ნება და საშვალება გაუკეთოს კრებას მოხსენება—მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ პირველ რიგში.

**ს. კეშელავა** წინააღმდეგია დღის წესრიგის შეცვლის და ამბობს, რომ ის დასტოვებს კრებას თუ ლატარიას მიეცემა უფლება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ პირველ რიგში მოხსენებისა.

ორივე წინადადების კენჭის ყრის შემდეგ კრება ერთხმად ადგენს მიეცეს ლატარიას ნება გააკეთოს მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

**ტ. ლატარია.** მოხსენება შეიძლება მხოლოდ

---

საქმიანობა მხოლოდ შეჭმისათვის გვაინტერესებდეს, მაგრამ მე შორს ვარ ამ შარიდან და ვსთხოვდი ჩემს ურწმუნო მოსაუბრეს განმათავისუფლოს ამ ეჭვებიდან. უკმაყოფილო ვტოვებ ამ სოფელს დროებით ისევ ჩარჩების ხელში და გადავდივარ მეზობელ სოფელში. უნდა მოგახსენოთ, რომ იჯარის სისტემა ბევრ კოოპერატივებში არის გავრცელებული და საზოგადოებაც ისე შეგუებია ამ წესს, რომ ვერც კი წარმოუდგენია, თუ სხვაფრივ შეიძლება კოოპერატივის საქმეების მოწყობა. აქაც იჯარა, მაგრამ პირობები იჯარისა სულ სხვა გვარია. მოგების ნახევარი მიაქვთ ორ მოიჯარადრეს (ერთი ნოქარია და მეორე საქონლის მომტანი), მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ყოველივე ხარჯები დაიფარება. არის სარევიზიო კომისია, რომელიც ყოველთვის ესწრება საქონელზე ფასის გაწერას და რომელიც უსასყიდლოთ მუშაობს. საზოგადო კრება აქ უფრო თავაზიანი გამოდგა. ჩემი რჩევა მიღებულ იქმნა მხედველობაში და კრებამ დაადასტურა გამგეობაში სამი კაცის ყოლა და მათთვის მოჭრილი ჯამაგირის დანიშვნა. რა კმაყოფილებას გრძნობ, როდესაც შენს გულ-წრფელ რჩევას და საქმისათვის სასარგებლო დარიგებას გასავალი აქვს და საზოგადოება თავისი ავტორიტეტული დასტურით საშვალებას გაძლევს ესა თუ ის საკითხი ისე გადაჭრა, როგორც ამას მოითხოვს შენზე დაკისრებული მოვალეობა. ასეთ დროს ერთი ორათ თვალწარმტაცად და მიმზიდველად გეჩვენება ინსტრუქტორობა; მიყვარს ჩვენი ჩაჩნისებური წოწიალი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, და ვერავითარი დაბრკოლება გულს ვერ მიტეხს; სიხარულის ფრთები მესხმის და ოცნების მორევს ვეძლევი. მზათ ვარ გულ-წრფელი მადლობა უძღვნა იმ მოხუცს—ჩიბუხით პირში, რომელიც ერთ-ერთ კრებაზე წინა რიგში იდგა, კმაყოფილებით თვალყურს ადევნებდა ჩემს სიტყვას კოოპერაციაზე, და გზა და გზა გულუბრყვილოთ ხმამაღლა თანხმობას ხატავდა, რომ ჩემ მიერ ნათქვამი მან სავსებით გაიგო და მიიღო სახელმძღვანელოდ; მიყვარს ის მოხუციც, რომელიც კრებაზე დამსწრეთ უკიჟინებდა,—ნაწილი მოგებისა გადაედოთ სკოლის სასარგებლოთ, განა საკმარისი არ არის ჩვენ რომ უვიცნი ვართ, დეე ჩვენმა შვილებმა და შვილის შვილებმა მაინც გაიგონ რამე ამ წუთის სოფლისო. და ამ აზრს ისეთი გრძნობით და მტკიცე ხმით ამბობდა, რომ კრებაზე იმოქმედა და საზოგადოებამ ერთხმად მიიღო მისი წინადადება.

მაგრამ არის საზოგადო კრება ურწმუნო, კრება, რომელსაც თვით არა გაეგება რა და არც შენი უნდა გაიგოს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი მოვლენა ემჩნევა იქ, სადაც ხშირი ყოფილა შემთხვევა საზოგადო საქმის ან ქონების გაფლანგვის და საზოგადოებამ უკანასკნელად შეიმუშავა ისეთი შეხედულება, რომ შეუძლებელია რაიმე საზოგადო საქმის დაწყება და მისი კეთილად დაბოლოებაო. მას უსათუოდ შეჭმა, გაფლანგვა ელანდება. ძნელია გატეხილი გულის გამობრუნება და ერთხელ შექმნილ აზრის გაფანტვა. ასეთ დროს საზოგადოება

მას შემდეგ, რაც წარსული წლის ანგარიშები დამტკიცდება, ამიტომ გთხოვთ ინებოთ ჯერ ამ ანგარიშების დამტკიცება.

კრება ღებულობს ამ წინადადებას.

სიტყვა ეძლევა საბჭოს წევრს ანჯაფარიძეს.

**ა. ანჯაფარიძე**. ჩვენი (საბჭოს) და გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს შორის არის ზოგიერთ მუხლებში თვალსაჩინო განსხვავება, გთხოვთ იქონიოთ მსჯელობა და მიიღოთ სარევიზიო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

შემდეგ ანჯაფარიძე ხაზგასმით აღნიშნავს ამ განსხვავებებს, იცავს გამგეობის ანგარიშებში საბჭოს მიერ წარმოდგენილ შესწორებების შეტანის აუცილებლობას და განმეორებით მოუწოდებს კრებას დაამტკიცოს საბჭოს ანგარიშები.

**ს. ჩხეტია** (ს.-ფ. საბჭ. თავმჯდ.) მოითხოვს არა საიმედო ვალები იქნეს გამორიცხული მოგებიდან, ხოლო თუ მომავალი გამგეობა შესძლებს მის განაღდებას, ასეთი ჩაიწეროს როგორც მოულოდნელი შემოსავალი.

**ტ. ლატარია**. შეიძლება არა საიმედო ვალების გამორიცხვაც, მაგრამ უფრო მიზან-შეწონილი იქნება ეს ვალები—გარდამავალ თანხაში იქნეს გადარიცხული. ამასვე ემხრობა კავშირის რწმუნებული გოგებაშვილი.

**ა. ცხადაია**. საწყობის გამგე გეგელიას გაუტანია 15000 მან. საქონელი. გეგელია პასუხის მგებელია ამ საქმის გამო გამგეობის წინაშე, გამგეობა კი ვალდებულია გაანაღდოს ეს თანხა როგორი საშვალებითაც იქნება. ამიტომ მას შემოაქვს წინადადება აღნიშნული თანხა 15000 მან. იქნეს შეტანილი მოგებაში. რაც შეეხება არა საიმედო ვალებს ასეთი იქნეს გამორიცხული მოგებიდან.

**ი. მუჯირი**. ცხადაიას წინადადება ორ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთი, არა საიმედო ვალების შესახებ და მეორე, საწყობის გამგის მიერ გატანილ საქონლის. ორატორი მოითხოვს წინადადების ორივე ნაწილს ეყაროს კენჭი ცალ-ცალკე.

**ტ. ლატარიას** შემოაქვს წინადადება—გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები არა საიმედო ვალების შესახებ იქნეს უცვლელად დატოვებული.

**ბ. სარია**. იქნეს მიღებული საბჭოს წინადადება. არა საიმედო ვალების შესახებ გადის პირველი წინადადება წინაალმდეგ 17 ხმისა.

**ა. ცხადაიას** შემოაქვს ახალი წინადადება: რადგან 4 დეკემბრის არა ჩვეულებრივ კრებას არ ქონ-

---

შურის მაძიებელია, ის შურის ძიებას ითხოვს, რომ ამით მისი შელახული თავმოყვარეობა რამოდენიმეთ დააამოს. განა მტყუანი იყვნენ ერთ-ერთ კოოპერატივის წევრები, როდესაც გამგეობის ერთმა წევრმა 25000 მ. გაფლანგა და წევრები მოითხოვდენ, თუ დამნაშავეს არაფერი აქვს ზარალის ასანაზღაურებლად, მისი თითო გირვანქა ხორცი ხომ მაინც ჩამოგვხვდებაო, ძაღლებს მიუგდებთო. ამ დღეს კრებაზე ველური ინსტიქტი მეფობდა; ჰაერში დაჰიმული მუშტები ტრიალებდენ და თვალები ცეცხლს ყრიდენ.

არის შემთხვევა, როდესაც წევრებში ყრუთ დადის ხმები—ამა თუ იმ გამგეობის წევრის ბოროტ-მოქმედების შესახებ. შეუხედნიათ კიდეც, საქონელი რომ გაუტანიათ პარტიობით კოოპერატივიდან, მაგრამ გამკითხავი არვინ გამოსულა. ხალხი გულგატეხილია კოოპერატივზე. ამ დროს ჩნდება საბუთი, რომლის ძალითაც აშკარა ხდება, რომ კოოპერატივში ადგილი ქონია სისტემატიურ ბოროტ-მოქმედებას. ურცხვი გამგეობის წევრი კი გვიმტკიცებს. ის რომ არ ყოფილიყო კოოპერატივი ამდენხანს გამქრალი იქნებოდაო. რა სასტიკი ირონიაა წევრებზე. განა მეტი გაქრობა შეიძლება?! საზოგადოებას 35000 მ. ზარალი აქვს, ხოლო მას რომ სინდისიერად ეწარმოებინა საქმე იმდენი საქონელი იყო შეძენილი, რომ წინა წლების ზარალი უნდა დაეფარა და მოგებაც დაეტოვებინა. საზოგადოებას უდგენთ ბოროტ-მოქმედების უტყუარ საბუთს და საოცარ მოვლენას ამჩნევ: თუ ამდენ ხანს წევრები საზოგადო კრებებზე „ნერვიანობდენ“, ეხლა თავისუფლად ამოისუნთქეს. მათ უკვე ხელში ყავთ დამნაშავე, რომლის პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობას კრებას სთხოვენ. კრება კმაყოფილია ნახულ-გაგონილით და სასამართლოსკენ მიუთითებს დამნაშავეს.

არიან გამგეობის წევრები მხიარულები, რომლებსაც თავისი საქმე მაგრად ხელში უჭირავთ და თავი ამაყად უკავიათ. აი აღმოჩნდა, რომ ერთ კოოპერატივში ფულია გაბნეული. სარევიზიო კომისია უდგება გამოძიებას. საკმარისი არ შეიქნა ჩვეულებრივი სარევიზიო კომისია. საზოგადო კრება—საგანგებო კომისიას ირჩევს დამნაშავის აღმოსაჩენად. გამგეობაში აღმოჩნდა პოეტი, რომელმაც მოაწყო თავისი სტვირი, მოიხმო პარნასის მთიდან მუზები და დასძახა:

გედეონ ლაზარეს ძევ!*)
წინ აღმდგარო მსაჯულად
ანგარიში აებნა
ხაზინადარს ცხრა რჯულად.
გაგვიჭინჭყლდა აქტივი
ეჯახება პასივებს,
და ყოველ ანგარიშში
დანაკლისს ფულს ასიებს.

---

*) საგანგებო კომისიის წევრია.

და უფლება განეთავისუფლებია გეგელია 15000 მანეთის ვალდებულობიდან, ამიტომ ამ საქმის შესახებ აღნიშნული კრების უკანონო დადგენილება იქნეს შეცვლილი და გეგელიას წინააღმდეგ, ვალის ანაზღაურების მიზნით, იქნეს მიღებული ადმინისტრატიული და სამოქალაქო ზომები.

კრება თხოულობს წაკითხულ იქნას 4 დეკემბრის ყრილობის ოქმის ის ნაწილი, სადაც ის ეხება გეგელიას საქმეს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ კრება არ სცნობს გეგელიას დამნაშავეთ და ამიტომ ანთავისუფლებს მას პასუხის მგებლობისაგან.

**ა. ცხადაია** ეკითხება გამგეობის წევრს კეშელავას: ვინ იყო გამგეობის წინაშე პასუხის მგებელი, მარტო გეგელია თუ საწყობში ყველა მოსამსახურეები, და თუ იყო მარტო გეგელია რა საბუთით იქნა ის განთავისუფლებული პასუხისმგებლობიდან.

**ს. კეშელავა** უპასუხებს, რომ გამგეობის დადგენილებით ყველა მოსამსახურეებს უნდა შემოეტანათ „ზალოგი“, ისე კი შემოტანილი ქონდა მარტო გეგელიას. გეგელიას განთავისუფლებაში ჩვენ ვხელმძღვანელობდით 4 დეკ. ყრილობის დადგენილებით.

შემოდის შეკითხვა—აქვს თუ არა დღევანდელ ყრილობას უფლება დაარღვიოს 4 დეკემბრის ყრილობის დადგენილება?

შეკითხვაზე უპასუხებს **ტ. ლატარია**: რადგან 4 დეკემბრის ყრილობის წესრიგში არ იყო შეტანილი გეგელიას საქმე, ამიტომ დღევანდელ ყრილობას, როგორც წლიურს აქვს სრული უფლება დაარღვიოს ეს დადგენილება.

**ს. კეშელავა:** წელიწადში წლიური კრება არის ორჯერ. 4 დეკემბრის ყრილობაც იყო წლიური. ის იმ უფლებით იყო აღჭურვილი, რითაც—დღევანდელი კრება; ამიტომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს დავარღვიოთ 4 დეკემბრის ყრილობის დადგენილება.

**ა. მეუნარგია** ემხრობა კეშელავას.

**მ. ანჯაფარიძე** (საბჭოს წევრი). გეგელიას საქმე არსებითად განხილვაში არ შესულა. ჩვენ მაშინ ყურადღებას ვაქცევდით საქმის ფორმალურ მხარეს და ვამბობდით: 4 დეკემბრის ყრილობას არ ქონია უფლება გეგელიას განთავისუფლებისა. კამათს გამართავთ თუ არა, ეს დამოკიდებულია თქვენზე. უკამათოთ კი ამ კაცის გამტყუნება, სარევიზიო კომისიაზე დამყარებით, არ არის საფუძვლიანი.

კამათი ისპობა.

---

მე რაც ფული ავიღე
პაი, თუ სხვა სესხია,
სულსა როგორ წავიწყმედ
იაგორი მესხია*.
იტყვის: გადამიცია
ხაზინადარისთვისა,
და ამისთვის თუ დამსჯით,
მამცნეთ რატომ, რისთვისა?!
იაგორმაც რომ არ სთქვას,
ხელთ მაქვს თამასუქები,
საშას ხელ მოწერილი
ჯამით განასუქები.
სამჭლევეს ვერ დავადებ
არ მაქვს ჩამონათალი,
საქმე გამოიძიეთ
არ დამსაჯოთ მართალი.

მეორე ლექსიც ამავე ავტორისა არ არის ინტერესს მოკლებული:

მოქალაქე იუსტინე
ანგარიშებს შეუსტვინე,
საქმეები ნახე სწორი
ისე, როგორც ინსტრუქტორი.

რომ სტვენაზე ახმაურდეს
სიმართლე და სრული ჯამი,
და ქანქარი თავს დაატყდეს
ვის გამოცა შენაჭამი.
ტარიელი მაღალია
და მაღლადაც იყურება,
ცოდვა არ აქვს და ამიტომ
სიმართლეში იწურება?
ნაწურები ვარდებს მორწყავს
გაახარებს ბაღში იას,
და როგორც ხაზინადარი
ალარ დატოვს კასას ღიას.

ამის დამწერს გული საგულეში ქონდა. საბუთები მაგრათ შეეკრა და ხელთ ეკავა. და მართლაც ის უდანაშაულო გამოდგა და რათ არ იქნებოდა მღერის ხასიათზე? დიახაც რომ იქნებოდა და კიდეც მღეროდა.

**ერთი იმათგანი.**

*) კომისიის წევრია.

შემოდის სამი წინადადება:

1, გადახდეს გეგელიას 15000 მან.

2, იქნეს გეგელია განთავისუფლებული.

3, მოიხსნას გეგელიას საკითხი, რადგან ეს უკვე არ შედის ამ ყრილობის კომპეტენციაში, რაკი ამის შესახებ არის 4 დეკემბრის დადგენილება.

ი. **კვარაცხელია** მოითხოვს იქნეს არჩეული კომისია, რომელსაც დაევალება საქმის გამოძიება და ყრილობისათვის წარდგენა.

ა. **ჩიქავა** მოითხოვს გამგეობის დადგენილება შესახებ 15000 მანეთისა იქმნას უკანონოდ ცნობილი, და საქმეს მიეცეს შესაფერი მსვლელობა. წინადადებებს კენჭი ეყრება. გადის მეორე წინადადება 24 ხმით, წინაალმდეგ 13-სა. 47 თავი შეიკავა.

შემდეგ ამისა, კრება ხმის დიდი უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

მიმდინარე 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ტ. ლატარია.

სოფლის კოოპერატივთა არა სასურველ მდგომარეობას მომხსენებელი ხსნის კოოპერატივთა რიცხვის არა ნორმალური ზრდით. თითო საზოგადოებაში 4—5 და უფრო მეტი კოოპერატივი არსებობს. მაგალითად წალენჯიხის საზოგადოებაში 11 კოოპერატივია, ამ კოოპერატივებს სჭირდება აუარებელი ხარჯები, მაგალ. წალენჯიხის ყველა კოოპერატივებში 33 წევრია გამგეობის და აუარებელი ენერგია იხარჯება. საჭიროა შემცირდეს კოოპერატივების რიცხვი თითო საზოგადოებაში თითო კოოპერატივით. აქედან სულ კოოპერატივების რიცხვი ზუგდიდის რაიონში იქნება 50. მაშინ ჩვენ ვიშოვით შესაფერ ინტელიგენტურ ძალებს, დაგვჭირდება ნაკლები ხარჯები და სხვ. რომ კოოპერატივებს ჩაუყენოთ სათავეში მომზადებული პირები, საჭიროა მათი მომზადება. ამ მიზნით საჭიროა გაიხსნას ზუგდიდში კურსები ერთი თვიანი; გვეყოლება 3 ლექტორი. ერთ თვის შენახვა 50 მსმენელისა დაგვიჯდება 75000 მან. ლექტორებს 9000 მან. ამას რომ მიუმატოთ გზის ფული, გამოვა სულ 100000 მანეთი. ხარჯების ნახევარს იხდიან მოკავშირე კოოპერატივები, 50000 მ. კავშირი. ს. კოოპერატივების ხვედრს 50000 მან. გადაიხდის წინ-და-წინ კავშირი და შემდეგ თანდა-თან გადაახდევინებს პროცენტის სახით. სოფ. კოოპერატივების გამგეობის წევრებს შეუძლიათ დასწრება კურსებზე საკუთარი ხარჯით და სხვა. ეს ხარჯთ-აღრიცხვა იქმნა უცვლელად მიღებული. პროექტში შეტანილია შემდეგი დამატება. მსმენელები ვალდებულია სამი წელიწადი იმსახურონ ჯამაგირის ქვეშ კოოპერატივში და თუ ეს არ მოისურვა ვალდებულია წინდა-წინ გადაიხადოს მთელი ხარჯები.

შემდეგ იქმნა ლატარიას მიერ წარმოდგენილი დანარჩენი ხარჯთ-აღრიცხვა.

სარევიზიო კომისიის სახელით **მ. ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ის ეთანხმება გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვას, მხოლოდ შეაქვს მასში ზოგიერთი შესწორებანი.

საღამოს 5 საათზე კრება გრძელდება ლ. შენგელაიას თავმჯდომარეობით. იმართება კამათი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

ა. **ქავთარაძე** ემხრობა გამგეობის მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას მის ყველა მუხლებში.

ა. **ჩიქავა** მოითხოვს არ დაიხუროს სახარაზო და არც გაიყიდოს ავტომობილი, როგორც ეს ნათქვამია საბჭოს შესწორებაში, აგრეთვე არ ეთანხმება სარევიზიო საბჭოს დადგენილებას—მოსამსახურეთათვის ჯამაგირების განსაზღვრის უფლების ყრილობაზე მინიჭების შესახებ. ის მოითხოვს ჯამაგირების საკითხი მიენდოს გამგეობას. ხელშეკრულება გამგეობისა და მოსამსახურეებს შორის უნდა სდგებოდეს კოლექტიური.

ა. **მეუნარგია** და ბუღალტერი ემხრობიან გამგეობის მიერ წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას. ბუხგალტერი მოსამსახურეების სახელით თხოულობს ჯამაგირების საკითხი გამგეობას მიენდოს. კოლექტიური ხელშეკრულების მომხრეა.

**გოგებაშვილი** წინადადებას იძლევა შეტანილ იქნეს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, ტფილისში მოსალოდნელ კოოპერატიულ სკოლაში გასაგზავნ პირთათვის საჭირო თანხა.

ს. **კეშელავა** მომხრეა გამგეობაში იქმნეს ხუთი წევრი. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია მცირე შესწორებით. წინადადება გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდების, სახარაზო განყოფილების დახურვის, ავტომობილის გაყიდვის და ჯამაგირის განსაზღვრის უფლების ყრილობაზე მინიჭების შესახებ უარყოფილ იქმნა.

ირჩევა მორიგი საკითხი სოფლის კოოპერატივების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებას აკეთებს **ს. კეშელავა**. მომხსენებელი ეხება იმას, თუ რა მძიმე პირობებში უხთებოდათ კოოპერატივებს მოქმედე-

ბა. ინსტრუქტორი ყოფილა **45** კოოპერატივში (80 დან) და გამოურკვევია ამ კოოპერატივების მდგომარეობა. გარდა სამისა არც ერთს კოოპერატივში არ ყოფილა საქმის წარმოება შესაფერად დაყენებული. კოოპერატივებში ქონდა ადგილი სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებებს (გაფლანგვა, საქონლის კერძო პირებზე პარტიობით გაყიდვა და სხვა). მიღებულია ზომები ამ ბოროტ-მოქედებათა შესახებ. შემდეგ ის კითხულობს გამგეობის მიერ შემუშავებულ გეგმას მომავალ მუშაობისა, სადაც აღნიშნავს კურსებისა და ლექციების მოწყობის საჭიროებას, მწარმოებელი ამხანაგობების დაარსების საჭიროებას და სხვ. ბოლოს იძლევა შემდეგ პრაქტიკულ წინადადებებს:

1, პაის გადიდება 50 მანეთამდე.

2, გამგეობის წევრთა რიცხვის რაოდენობა.

3, გამგეობისთვის გასამრჯელოს მიცემა.

4, ყურადღების მიქცევა წევრთა ზნეობრივ მხარეზე.

5, არ იქნეს უსაფუძვლოდ გამგეობის გადაყენება—სანამ წესდებაში ნაჩვენები დრო არ გასულა.

6, კავშირის რწმუნებულის დასწრება, როგორც გამგეობის გადაყენების, ისე წლიური ანგარიშების შედგენის დროს აუცილებელია.

ყველა წინადადებები კრების მიერ ერთხმათ მიღებულია.

რწმუნ. **ხვინგია** იძლევა წინადადებას—სოფლის კოოპერატივების გამგეობის წევრთ დაენიშნოს ჯამაგირები კავშირიდან.

**ტ. ლატარია** წინაღმდეგია ამ წინადადების. „თუ თქვენ მიიღებთ ასეთ წინადადებას, ამბობს ის, მაშინ კავშირის კამგეობასაც ჯამაგირს უნდა აძლევდეს ამიერ კავკასიის კავშირი. წინადადება უარყოფილია.

**გოგებაშვილი** (ამიერ კავკ. კავშირ. რწმ). აცნობს კრებას, რომ ტფილისში არსდება კოოპერატიული ბანკი, რომლის 5.000.000 თანხაც იქნება 1000 მან. აქციებათ დაყოფილი, ამ აქციების შეძენის უფლება აქვთ მხოლოთ კოოპერატივებს. მოუწოდებს კრებას შეიძინონ, როგორც კავშირმა, ისე სოფ. კოოპერატივებმა, ამ ბანკის აქციები.

კრება არდგენს შეიძინოს კავშირმა 50.000 მან. აქცია თავისთვის და ამდენივე ს. კოოპერატივებისთვის. მთელ ამ თანხას (100.000 მან). იხთის კავშირი, შემდეგ კი თანდა-თანობით ახთევინებს მოკავშირე კოოპერატივებს. თითო კოოპერატივისთვის სავალდებულოა თითო 1000 მან. აქცია მაინც.

ისმება მორიგი საკითხი—ერობა და კოოპერაცია. მომხსენებელი **გოგებაშვილი** აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც უცხოეთში ერობებს უხთებოდათ კოოპერატივების მოწყობა, ჩვენში ერობებს კოოპერატივები დაუხვდათ წელმოძაგრებულნი. ამას საჭიროა ერობებმაც გაუწიონ ანგარიში. შემდეგ აღნიშნავს ერობისა და კოოპერატივების შეთანხმებულ მუშაობის საჭიროებას და მოყავს ამ შეთანხმებული მუშაობის საერთო დებულებები. ყველა ამ დებულებებს ყრილობა სახელმძღვანელოდ ღებულობს.

მორიგი საკითხი—წესდების შეცვლა.

**ა. ჩიქავას** წინადადებით საჭიროა წესდება გადაიბეჭდოს ქართულად და დაეგზავნოს მოკავშირე კოოპერატივებს გასაცნობად, რის შემდეგ მორიგ ყრილობაზე მხოლოთ შეიძლება ამ საკითხის დასმა. წინადადებას კრება ღებულობს და გადადის მორიგ საკითხზე.

ისმება საკითხი მოგების განაწილების შესახებ. მოხსენებას აკეთებს **ტ. ლატარია,** რომელიც კითხულობს გამგეობის მიერ წარმოდგენილ განაწილების გეგმას. განაწილებას ლეო შენგალაიას შესწორებით კრება ღებულობს.

ირჩევა მორიგი საკითხები:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების თხოვნა შაქრის დათმობის შესახებ.

კრება ღებულობს დაეთმოს თუთხმეტ სტუდენტს უფასოდ თითოს 5 გირ. შაქარი. **ტერ. ლატარიას** წინადადებით კრება ღებულობს 1) მიეცეს წინადადება კავშირის გამგეობას შეიძინოს სასწავლო ნივთები და გაყიდოს ასეთი 5% მოგების დამატებით.

2) მიეცეს კავშირის გამგეობას უფლება შეიძინოს მიწა და სახლი კავშირისათვის.

გამგეობის არჩევა ხთება ფარული კენჭის ყრით. წარმოდგენილია ოთხი კანდიდატი: 1, **ტ. ლატარია,** 2, ხუბულავა, 3, ივ. ოდიშარია და 4, ს. კეშელავა. ამ კანდიდატებიდან არჩეულ არიან ლატარია, ხუბულავა და ოდიშარია.

ხდება გამგეობის კანდიდატების არჩევნები ღია კენჭით. არჩეულ არიან ლ. კოდუა და ა. ქავთარაძე.—

კრება იხურება ღამის 2 საათზე.

**კანვინ.**

23 ივნისი ქ. ზუგდიდი.

## დადგენილებანი ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა წლიური ყრილობისა 8-11 ივნისის 1919 წ. ქ. ზუგდიდში.

1

**სოფლის კოოპერატივების მდგომარეობის** შესახებ მიღებულ იქმნა შემდეგი დებულებები:

ა) გადიდებულ იქმნას საპაიო თანხა 50 მანეთამდე.

ბ) გამგეობის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სამს.

გ) გამგეობის წევრთ უნდა მიეცეს გასამრჯელო.

დ) ამხანაგობისათვის მავნე პირნი უნდა გამორიცხულ იქმნან წევრობიდან.

ე) კერძოობას, პირადობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი კოოპერატივში.

ვ) თუ გამგეობის წევრის დათხოვნა მოხდა ვადის გასვლამდე, ამის მიზეზი დაუყონებლივ უნდა ეცნობოს კავშირის გამგეობას.

ზ) მოკავშირე ამხანაგობები წლიურ საზოგადო კრებაზედ უსათუოდ იწვევენ კავშირის წარმომადგენელს.

2

**ერობა და კოოპერაციის შესახებ** მიღებულ იქმნა ის დებულებანი, რომელიც ამიერ—კავკასიის კავშირმა და ერობათა ყრილობამ მიიღეს და გაგზავნილ იყო კოოპერატივებში.

3

**ხარჯთ-აღრიცხვაში გატარებულია შემდეგი მუხლები:**

ა) სახალხო სახლის გახსნა.

ბ) ყოველ საზოგადოებაში კოოპერატივთან ბიბლიოთეკების დაარსება.

გ) კავშირთან საკოოპერაციო ბიბლიოთეკის დაარსება.

დ) იაფ ფასიანი სასტუმრო-სასადილოს გახსნა.

4

**კურსების დაარსება.**

1) თითო საზოგადოებაში უნდა იყოს არა უმეტეს ერთი კოოპერატივისა.

2) თუ ეკონომიური ან გეოგრაფიული მდებარეობა მოითხოვს,—გაიხსნება ყველა საზოგადოებაში ერთი ან რამოდენიმე განყოფილება.

3) ცენტრალურ კოოპერატივში ყოველ კუთხის წარმომადგენელი იქნება გამგეობაში არჩეული.

4) ყველა მოსამსახურეებს საკმაო ჯამაგირი ეძლევათ.

5) ცენტრის და განყოფილებების ხარჯებს ეწევა ცენტრალური კოოპერატივი.

6) საქონელი თანაბრად იქნება განაწილებული როგორც ცენტრში ისე განყოფილებებში.

7) განყოფილებებში იქნება მარტო ნოქარი გირაოს ქვეშ.

8) საქონელი ყველგან გაიყიდება ერთ ფასებში.

9) ცენტრალურ კოოპერატივს ეყოლება გამოცდილი მოანგარიშე ხელმძღვანელი.

10) ასეთი გამოცდილი მოანგარიშე-ხელმძღვანელისთვის იხსნება ოთხ-კვირიანი კურსები.

11) ყველა საზოგადოება აგზავნის ერთ მსმენელს, რომელმაც კარგათ უნდა იცოდეს ქართულად წერა-კითხვა და ანგარიში.

12) მსმენელების რიცხვი იქნება არა ნაკლებ 50 კაცისა.

13) თანახმად ყრილობის დადგენილებისა კავშირი თავის თავზედ ღებულობს პირველად ყოველივე ხარჯებს.

14) კურს-დამთავრებულნი ეგზავნებათ იმ საზოგადოებებს, რომელთაც იგინი გამოგზავნეს.

15) მათ უნდა ემსახურონ კოოპერატივს არა ნაკლებ ერთი წლისა, რასაკვირველია, ჯამაგირის მიცემით.

16) წაკითხული იქნება შემდეგი ლექციები:

ა) კოოპერაციის თეორია.

ბ) კოოპერაციის ისტორია.

გ) კოოპერატივების ორგანიზაცია.

დ) საქმის წარმოება კოოპერატივებში (პრაქტიკული მუშაობა).

ე) ვაჭრული მეცნიერება.

ვ) ანგარიშის წარმოება კოოპერატივებში (პრაქტიკული მუშაობა).

ზ) ერობა და კოოპერაცია.

თ) კოოპერაცია და სოციალიზმი.

17) სოფლის გამგეობის წევრებს, თუ სხვა კერძო პირებს კურსებზედ ლექციების მოსმენა შეუძლიათ უფასოდ. ხოლო საცხოვრებელ ხარჯებს თვითონ გადიხდიან.

18) კურსები უნდა მოეწყოს ამ ზაფხულში.

19) კურსების გახსნამდი საზოგადოებანი ირჩევენ მსმენელთ და მათ სახელს, მამის სახელს და გვარს აცნობებენ კავშირის გამგეობას.

5

**საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული ბანკი.**

1) ევალება ყველა კოოპერატივებს შეიძინონ აქციები საქართველოს კოოპერატიული ბანკის არა ნაკლებ ორი ათასი მანეთისა.

2) აქციების შესაძენ ფულებს კოოპერატივებში, თანახმად წესდებისა (ბანკის), იხდიან პროცენტობით თანდა-თანობით.

3) კავშირს ევალება შეიძინოს იმდენი აქციები, რამდენსაც მისი რაიონის კოოპერატივები ერთად შეიძენენ.

6

**საკუთარ უძრავ ქონების შეძენა.**

1) უფლება ეძლევა გამგეობას შეიძინოს სარევიზიო საბჭოსთან შეთანხმებით საკუთარი შენობა და მიწა კავშირისათვის.

2) ევალება კავშირის გამგეობას შეიძინოს მიწა და სახლი სახალხო სახლისთვის, რომელიც იხსნება კავშირის სახელზე და მის მზრუნველობის ქვეშ.

7

**წესდების შეცვლა.**

1) დაევალოს გამგეობას შეიძინოს ნორმალური წესდება რაიონულ კავშირების და სარევიზიო საბჭოსთან ერთად წარუდგინოს მომავალ კრებას. ეს

## ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა 1919 წლის

აქტივი.

| №№ ანგარიშების | ანგარიშების სახელწოდება | სალდო | | ბრუნვები: დებეტი | | ბრუნვები: კრედიტი | | სალდო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კასა | 45432 | 03 | 217276 | 27 | 161406 | 60 | 101301 | 70 |
| 2 | მიმდინარე ანგარიშები ბანკებში | 23024 | 06 | — | — | — | — | 23024 | 06 |
| 3 | გაცემული ავანსები | 1331488 | 47 | 36919 | 50 | — | — | 1368407 | 97 |
| 4 | ვექსილები მისაღებათ | 100000 | — | — | — | — | — | 100000 | — |
| 5 | წიგნთ-საწყობი | 41978 | 07 | — | — | — | — | 41978 | 07 |
| 6 | ღირებულებანი გირაოთ | 1798635 | 78 | — | — | — | — | 1798635 | 78 |
| 7 | ფასდადებით გაგზავნილი საქონელი | 126 | 10 | — | — | — | — | 126 | 10 |
| 8 | სხვა და სხვა პირნი და დაწესებ. | 2734022 | 50 | 61316 | 88 | 166736 | 70 | 2628602 | 68 |
| 9 | მოსკოვის სახალხო ბანკის აქციები | 15590 | — | — | — | — | — | 15590 | — |
| 10 | მოძრავი ქონება | 147824 | 99 | — | — | — | — | 147824 | 99 |
| 11 | პაი მოსკოვის მომხ. საზოგ. კავშირში | 151 | 25 | — | — | — | — | 151 | 25 |
| 12 | გარდამავალი თანხები | 172413 | 17 | — | — | 33278 | — | 139135 | 17 |
| 13 | მომხმ. საზ. სხვა და სხვა ანგარიშები | 33189 | 50 | — | — | — | — | 33189 | 50 |
| 14 | მსყიდველები(მოკავშირესაზოგადოებანი). | 4265358 | 68 | 12719 | 03 | 51917 | 53 | 4226160 | 18 |
| 15 | გამომცემლობა | 48164 | 24 | — | — | — | — | 48164 | 24 |
| 16 | სავაჭრო ხარჯები | 2909862 | 57 | 132319 | — | 85 | — | 3042096 | 57 |
| 17 | მოგება და ზარალი | 11144 | 30 | — | — | — | — | 11144 | 20 |
| 18 | სკიდკები და % % | 52397 | 41 | — | — | 2808 | 03 | 49589 | 38 |
| 19 | საწარმოვო დაწესებულებანი | 2814879 | 79 | 3528 | — | — | — | 2318407 | 79 |
| 20 | გატაცებული საქონელი | 25061 | 51 | — | — | — | — | 25061 | 51 |
| 21 | შემსყიდველი პუნქტები | 979619 | 19 | 5000 | — | — | — | 984619 | 19 |
| 22 | საქონელი რეკვიზიციით | 2156 | 27 | — | — | — | — | 2156 | 27 |
| 23 | საქონელი შემსყიდველ პუნქტებში | 255684 | 94 | — | — | — | — | 255684 | 94 |
| | **ნაშთი** (ბალანსი) | 17808204 | 82 | — | — | — | — | 17861051 | 64 |

წესდებები აგრეთვე დაეგზავნოს სოფლის კოოპერატივებს.

8

**შაქრის საკითხი.**

1) თანახმად გამგეობის განცხადებისა დაურიგდეს თანაბრად ყველა კოოპერატივებს დარჩენილი შაქარი.

2) მიეცეს ქართველ სტუდენტებს და კურსისტებს რიცხვით თოთხმეტს ხუთ-ხუთი გირვანქა შაქარი უფასოდ.

9

**თავნი ფასში საქონლის გაცემა.**

1) აღეკრძალოს გამგეობას ვისდამიც იყოს თავნი ფასში საქონლის გაცემა.

10

**კერძო პირებზე საქონლის გაცემა.**

1) კერძო პირებს საქონელი კავშირიდან არ მიეცეს.

11

**დღიურები.**

1) სარევიზიო საბჭოს მიეცეს დღიური 100 მ.

2) ინსტრუქტორს და სხვა მოსამსახურეთ სოფლად 70 მანეთი.

3) სენაკი და ქუთაისში 90 მანეთი.

4) ტფილისში, ბაქოში და ბათომში 130 მანეთი.

12

**წიგნის მაღაზიის გახსნა.**

1) ევალება გამგეობას გახსნას სასწავლო და

## კავშირის ბრუნვების ბალანსი 1 აგვისტოსათვის.

პასივი.

| №№ ანგარიშებისა | ანგარიშების სახელწოდება | სალდო | | ბრუნვები დებეტი | | ბრუნვები კრედიტი | | სალდო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპაიო თანხა . . . . . . . . . | 346776 | 34 | — | — | — | — | 346776 | 34 |
| 2 | სპეციალური ფონდები და თანხები . . | 157885 | 91 | — | — | — | — | 157885 | 91 |
| 3 | სპეციალური მიმდ. ანგარიშები „On call“ | 2597053 | 58 | — | — | 20000 | — | 2617053 | 58 |
| 4 | მომხმ. საზოგ. სესხის უზრუნველსაყოფად | 336500 | — | — | — | — | — | 336500 | — |
| 5 | სავაჭრო-საკომისიო ოპერაციები . . . | 1182622 | 93 | — | — | — | — | 1182622 | 93 |
| 6 | ანაბარი (მობარებული) . . . . . | 80000 | — | — | — | — | — | 80000 | — |
| 7 | საწარმოვო თანხა . . . . . . . | 86444 | 82 | — | — | — | — | 86444 | 82 |
| 8 | სათადარიგო თანხა. . . . . . . | 19444 | 82 | — | — | — | — | 19444 | 82 |
| 9 | საქონელი საწყობში . . . . . . | 5335655 | 07 | — | — | 74255 | 32 | 5409910 | 39 |
| 10 | საკუთარ წარმოების საქონელი . . | 1121756 | 23 | — | — | | — | 1121756 | 23 |
| 11 | საქონლის მომწოდებელნი. . . . . | 3252594 | 43 | 84000 | — | 18340 | — | 3186934 | 43 |
| 12 | გაცემული ვექსილები . . . . . . | 1240000 | — | — | — | — | — | 1240000 | — |
| 13 | წარმოება . . . . . . . . . | 691500 | 97 | — | — | — | — | 691500 | 97 |
| 14 | გუთაისის განყოფილება . . . . . | 1284993 | 67 | — | — | — | — | 1284993 | 67 |
| 15 | ჯამაგირები . . . . . . . . . | 74976 | 05 | 82328 | 50 | 106580 | — | 99227 | 55 |
| | **ნასწორი** (ბალანსი) . . . | 17808204 | 82 | 635407 | 18 | 635407 | 18 | 17861051 | 64 |

საკანცელარიო ნივთების განყოფილება. საქონელი გაიყიდოს 5%-ის დადებით.

13

**1918 წლის მოგების განაწილება.**

ვინაიდან ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირი არის მთელი რაიონის დაწესებულება და არა ერთი რომელიმე კუთხისა, მთელი მოგება, რომელიც უნდა განაწილდეს, მოხმარდეს არა კუთხობრივ გაჭირვებას, არამედ ისეთ დაწესებულებებს, რომელთა მოქმედება და გავლენა ვრცელდება მთელი ზემო-აღნიშნული რაიონში და აგრეთვე აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. ამიტომ 1918 წლის მოგება განაწილდეს ასე:

1) გადაირიცხოს თანახმად წესდებისა კავშირის ძირითადი თანხაში—167439 მ. 97 კ.

2) გადაირიცხოს სათადარიგო თანხაში . . . . 37208 მ. 80. კ.

3) მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ლატარეის ბილეთების შეძენის სახით—15000 მ.

4) კოოპერატიულ სკოლას ტფილისში . . . 25000 მანეთი.

5) „ „ „ სტიპენდიანტებს, რომლებიც გაიგზავნებიან აქედან . . . . . 15000 მ.

6) ცენტრალურ სახალხო სახლს ზუგდიდში . . . 40000 მანეთი.

7) მოსამსახურეთა საკრებულოს . . . 10000 მ.

8) სახალხო გვარდიას . . . . 6000 მანეთი.

9) რესპუბლიკის ჯარს . . . . 6000 მანეთი.

10) დასახიჩრებულ მეომართათვის ფონდი ზუგდიდის ერობასთან . . . 10000 მანეთი.

11) ყოფილ გამგეობის წევრის, განსვენებულ პ. კედიას ობლებს . . . 3000 მანეთი.

12) „ „ „ დედას 2000 მანეთი.

13) ზუგდიდი და სამურზაყანოს სასწავლებელთათვის ზ. ერობასთან ფონდი . . . 17000 მ.

14) უმწეოდ დარჩენილ არა კანონიერ ბავშთათვის ზ. ერობასთან ფონდი . . . 5000 მ.

15) სტიქიურ უბედურების დროისთვის ფონდი ზ. ერობასთან . . . 5000 მ.

16) ზუგდიდის გიმნაზიისთვის . . . 5000 მ.

17) ზუგდიდ-სამურზაყანოს ბიბლიოთეკებისათვის . . . 3000 მ.

18) დაბეჭდვა დადგენილებისა . . . 439 მ. 24 კ.

---

ჯამი 372.088 მანეთი და 01 კ.

# კოოპერაცია მთიულეთში და ხევში.

—:—

კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში სწრაფად განვითარდა. ეს ყველას კარგათ მოეხსენება. ისიც ვიცით, რომ ფრიად არა ნორმალურ პირობებში იშვა და გაიზარდა იგი, რომ მრავალი კოოპერატივი შაქრის და ძნელად საშოვარ საქონელის გამო დაარსდა, რომ არავითარი წინასწარი მომზადება კოოპერაციის იდეის განსახორციელებლად არ ყოფილა და, მაშასადამე, ნიადაგი არ ჰქონია შემზადებული კოოპერატიულ ორგანიზაციების მოწყობა-განვითარებას.

ჩვენი კოოპერატორები, საქართველოს კოოპერატიულ მოძრაობის მესვეურნი და უბრალო მუშაკნიც კარგათ გრძნობდნენ წინად და ჰხედავენ ამ ჟამად, რომ ჩვენს კოოპერაციას კრიზისის ხანა დაუდგება, უკეთ, უკვე დამდგარი აქვს, კრიზისი ყოველმხრივი—იდეური, ეკონომიური, ტეხნიკური, ფინანსიური და სხვა. ცხადი იყო ჩვენთვის, რომ საგრძნობი ნაწილი კოოპერატიულ დაწესებულებათა ისევე პატოლოგიურად გაჰქრებოდა, როგორც დაიბადა.

უკვე თვალწინ გვაქვს სამწუხარო ფაქტები კოოპერატივთა ლიკვიდაციისა სხვა და სხვა ფორმით და სხვა და სხვა გარემოებათა ზედ-გავლენით. კოოპერატივთა რიცხვი იზრდებოდა დიდის სისწრაფით იმ დრომდე, ვიდრემდის მთავრობის და კოოპერატიულ კავშირთა საწყობებში ეგულებოდა შაქარი, საცვლები, საპონი, წუმწუმა და სხვა; კოოპერატივთა რიცხვი თანდათან კლებულობს მას შემდეგ, რაც ხსენებულ საწყობებს შემოაკლდა ზემოდ აღნიშნული საქონელი; მეორეს მხრივ კოოპერატივები თანდათან ჰქრებიან სპეკულიაციის თანდათანობითი ზრდასთან ერთად, სპეკულიანტების, ჩარჩ-ვაჭრების უზომო გამრავლებასთან ერთად.

აი ამის მწარე მაგალითს წარმოადგენს მთიულეთის და ხევის რაიონების კოოპერატიული მოძრაობა.

მთიულეთი და ხევი დუშეთის მაზრის ნაწილებია, მთიულეთი იწყება სადგურ ანანურიდან და თავდება სადგურ გუდაურით, ხევი (ზემო და ქვემო) იწყება გუდაურიდან და თავდება სოფელ სტეფანწმინდით, ანუ ყაზბეგით.

მთიულეთში არსებობდა სამი მომხმარებელთა საზოგადოება და ერთი საკრედიტო ამხანაგობა: ანანურის, ფასანაურის და მლეთის მომხმარებელთა საზოგადოებანი, და ფასანაურის საკრედიტო ამხანაგობა. ანანურის მომხმარებელი საზოგადოება როდის

დაარსდა, როგორ არსებობდა და როდის და რა მიზეზით მოისპო—ამის შესახებ ცნობები ამ ჟამად არ მოგვეპოვება მხოლოდ ფაქტი ისაა, რომ ანანურში არავითარი კოოპერატივი აღარა მოქმედებს უკვე რამდენიმე თვეა. მლეთში მომხმარებელი საზოგადოება არსებობდა უკანასკნელ ორი თვის წინ, ამ ჟამად კი მისი ქონება კერძო, ჩემ მიერ შეუმოწმებელ ცნობებებით, გაფლაგულია და კოოპერატივის მესვეურის ინიციატივით დაარსებულა რამდენიმე პირთა სააქციონერო ამხანაგობა.

ეს რაიონი მე დავათვალიერე და რევიზია მოვახდინე ფასანაურის მომხმარებელ საზოგადოებაში. იგი დაარსებულა 1916 წლის გასულს, მოქმედება დაუწყია 1917 წლის დასაწყისში. ეკონომიურად შედარებით სხვა კოოპერატივებთან, დუშეთის მაზრაში, საკმარისად ძლიერია, რაც სჩანს მის ნახევარ წლის ბალანსიდან:

1919 წელს 22 იანვარს იყო:

| | აქტივი | პასივი |
|---|---|---|
| კასა | 14828—36 | — |
| საქონელი | 43996—27 | — |
| მონისიავენი | 4172—40 | — |
| სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი | 358— | — 10000 — |
| საპაიო თანხა . . . . . . . . | | 4336 — |
| სავაჭრო ხარჯები . . . . . . | | 10312 — 22 |
| ქონება | 1202—15 | |
| ძირითადი, სათადარიგო და სხვა თანხები . . . . . . . . . | | — 9301 — |
| მოგება და ზარალი . . . . . | | 30607 — 96 |
| ბალანსი | 64557—18 | 64557—18 |

1919 წელს 30 ივლისს იყო:

| | აქტივი | პასივი |
|---|---|---|
| კასა | 41649—34 | — — |
| საქონელი | 77355—88 | — — |
| მონისიავენი | 7702—30 | — — |
| სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი | 13068—35 | 78106 42 |
| საპაიო თანხა . . | — — | 4448 — |
| სავაჭრო ხარჯები . | — — | 15599-83 |
| ქონება . . . . | 1032-35 | — — |
| ძირითადი, სათადარიგო და სხვა თანხები | — — | 9321 — |
| მოგება და ზარალი 1918 წ. | — — | 22035-11 |
| მოგება და ზარალი 1919 წ. | — — | 8912-86 |
| ბალანსი . . | 138423-22 | 138423-22 |

კოოპერატივის სიმტკიცე მხოლოდ ნივთიერ სიძლიერით არ ამოიწურება; უმთავრესი ძალა კოოპერატიულ ორგანიზაციისა მის დიად პრინციპების სიმტკიცეშია.

კოოპერატივში ირიცხება 481 წევრი და მის სამოქმედო რაიონში კი 1100 კომლი მცხოვრებია. ამ რიგათ მცხოვრებთა ერთი მესამედია შეკავშირებული.

დაბა ფასანაურში ინტელიგენტური ელემენტი მოიპოება, მაგრამ გამგეობა, რომელიც შესდგება 7 პირისაგან, აქტიურ მონაწილეობას არ იღებს კ-ის მართვა-გამგეობაში, მისი მოღვაწეობა განისაზღვრება მით, რომ მისი ერთი წევრი—ხაზინადარი ყოველ დღეს იბარებს მოლარისაგან ნავაჭრის და სხვა ფულს; და თვეში ან ორ თვეში ერთხელ გ-ბა ჰმართავს კრებას, რომლის ოქმები აქამდე არ იწერებოდა.

კოოპერატივის მთელ საქმეს აწარმოებს დაქირავებული თანამშრომელი—მაღაზიის გამგე. კოოპერატივს ჰყავს სარევიზიო კომისია, რომელიც ფაქტიურად არ არსებობს, ვინაიდან იგი არასოდეს რევიზიას არ ახდენს. კოოპერატივს ოთხი (4) დაქირავებული თანამშრომელი ჰყავს: გამგე, უფროსი ნოქარი, მისი თანაშემწე და მოლარე. პირველს ეძლევა 600 მან, **II**—600 მ. **III**—450 მან. და **IV**-ი—300 მანეთი თვეში.

ანგარიშის და საქმის წარმოება შემოღებული აქვს; აწარმოებს კასა-მემორიალს, კასის და საქონლის დღიურებს, ქონების და პირადი ანგარიშების დავთრებს.

კოოპერატივის კულტურული მუშაობა განისაზღვრება მხოლოდ მცირედის დახმარებით ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულებისადმი.

უმთავრესი სისუსტე კოოპერატივისა იმაში გამოიხატება, რომ წევრნი დაქსაქსულნი არიან მთებში. მათი თავის მოყრა, საზოგადო კრებების მოწყობა, კოოპერატიულ იდეის გავრცელება, მჭიდრო კავშირის გაბმა მათ შორის და კოოპერატივისადმი მეტად ძნელია, მით უმეტეს, როცა მისი მესვეურნი გულცივად ეპყრობიან თავის მოვალეობას. კოოპერატივის წევრნი არავითარ სიახლოვეს თავის დაწესებულებასთან არ გრძნობენ, თითქოს კოოპერატიული სავაჭრო სხვაა და მყიდველნი სხვები არიან; მათ შორის იგივეობას ვერ ამჩნევენ. აი აქაა საფუძველი კოოპერატივის დარღვევის შესაძლებლობისა. საკმარისია ერთი, ორი ხელმძღვანელის დანაკლისი და კოოპერატივი უბრალო დუქნად გადაიქცევა და

ბოლოს იგივე ბედი ეწვევა, რაიც ხევის კოოპერატივებს. ხევში არსებობდა ოთხი მომხ. კოოპერატივი: ყაზბეგში, სნოში, სიონში და კობში; ამ ერთი თვის წინეთ დაარსდა მეხუთე—სოფელ გერგეტში: ორი საკრედიტო ამხანაგობა: ყაზბეგში და კობში.

ყაზბეგის მომხმარებელი საზოგადოება „ერობა“-ს სამოქმედო რაიონში 350 კომლამდე მცხოვრებია, წევრად ჩაწერილი ყოფილა 300-დე. დაარსებულა 1916 წელს დეკემბერში, ვაჭრობა დაუწყია 1917 წლის იანვარს. კოოპერატივის დაარსებამდე 5—6 კერძო სავაჭრო ყოფილა, დღეს კი 18—20-დეა. კოოპერატივს ჰყოლია გამგეობა და სარევიზიო კომისია სამ-სამი პირისაგან შემდგარი. არც პირველი და არც მეორე თავის მოვალეობას არ ასრულებდა, კოოპერატივის კეთილდღეობაზე სრულებით არ ზრუნავდა, პირიქით, გამგეობა ხელს უწყობდა მის დაქვეითებას და ზოგჯერ მისი ზოგიერთი წევრი მონაწილე ხდებოდა სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისა.

1918 წელს ივლისის პირველ რიცხვებში დუშეთის მაზრის ბოლშევიკურ აჯანყების დროს, ბოლშევიკურ ბანდას ყაზბეგის კოოპერატივი გაუტეხია და 5000 მანეთამდე საქონელი გაუტაცია. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ კოოპერატივში არავითარი ქონება აღარ აღმოჩენილა და არც ფული, არც საქონელი და არც სხვა რაიმე. სულ მოკლე ხანში დაარსებულა სააქციონერო ამხანაგობა შვიდი პირისაგან შემდგარი; მათ შორის არიან კოოპერატივის ყოფილი თავმჯდომარე, ხაზინადარი და ნოქარი. ამ გარემოებამ დაანახვა კოოპერატივის წევრთ, რომ კოოპერატივის ცხოვრებაში ბოროტმოქმედებას ჰქონია ადგილი. 1918 წელს 29 დეკემბერს შემდგარა ყაზბეგის მომ. ს-ბის „ერობა“-ს წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაუდგენია აეკრძალოს სააქციონერო დუქანს კოოპერატივის სახელით საქონლის მიღება სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათაგან, აურჩევიათ სარევიზიო კომისია 5 პირისაგან შემდგარი და დაუვალებიათ მათთვის კ—ვის მდგომარეობის გამორკვევა და ბოროტმოქმედების წინაალმდეგ შესაფერისი ზომების მიღება. ხსენებულ სარევიზიო კომისიას აღმოუჩენია, რომ გაფლანგული ქონება უდრის 26.300 მანეთს. მაგრამ გამგეობას ამის ანაზღაურება არ უკისრია. მკათათვის 4-ს მიმდინარე წლისა მე თვით მოვახდინე კ—ის რევიზია. არავითარი გასამართლებელი საბუთები (ანგარიში, ხელწერილები, ორდერები და სხვა) არ აღმოჩნდა; გამგეობის განცხადებით ბოლშევიკურ მოძრაობის დროს დაკარგულა; დავთრებიც არ იყო წესიერად ნაწარმოები, მხოლოდ ორი დავთარი უწარმოებიათ: ხაზინადრის დავთარი და კასა-მემორიალი. ჩაწერილები ზოგგან შეცდომებით იყო, ზოგგან წაშლილ-გადასწორებული და დასვრილი. სწორე ცნობების უქონლობის გამო ნამდვილი დასაბუთებული ანგარიშის შედგენა შეუძლებელი იყო, მხოლოდ ჩაწერილ ციფრებზე დავამყარე ჩემ მიერ შედგენილი ანგარიში. აღმოჩნდა დაახლოვებით იმდენივე დანაკლისი, როგორც სარევიზიო კომისიას ჰქონდა ოქმში აღნიშნული, მხოლოდ ჩემის წინადადებით 1 % დაუთმეს საქონლის დალევას, დაშრობას და დაბნევას და დანარჩენი 16617 მან. 69 კ. დაეწერა ვალად ძველ გამგეობას. გადიხდის თუ არა გამგეობა ამ ვალს საეჭვოა. საზოგადო კრების მიერ არჩეულ ახალ გამგეობას კი არა სურს ახალი კოოპერატივის ორგანიზაცია, ვიდრე არ იქნება ანაზღაურებული ხსენებული დანაკლისი. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ყაზბეგის მცხოვრებნი გამოუკლებლივ ყველანი—ან მსხვილ და ან წვრილ ჩარჩ-ვაჭარს წარმოადგენს. ყაზბეგი ისეთი პუნქტია, სადაც ფართე ასპარეზი აქვს სპეკულიაციის და კერძო ვაჭრობის განვითარებას; მცხოვრებთ ცხოვრების სხვა წყარო არც კი მოეპოვებათ. ამის გამო ვფიქრობ, რომ აქ სრულებით ნიადაგი არა აქვს კოოპერაციას და შეუძლებელია კოოპერატიულ ორგანიზაციის არსებობა-განვითარება.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩდენ სიონის და სნოს კოოპერატივები. სიონის მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატიული დუქანი 1918 წელს დეკემბერს წევრთა საზოგადო კრებას გადაუცია იჯარით კერძო პირზე, იმ პირობით, რომ გადაცემულ თანხის 5 % სარგებელი ეძლია და საქონელიც არჩეულ სამს პირს გაენიხრა. არც პირველი დ არც მეორე მუხლი პირობისა არ ყოფილა შესრულებული მოიჯარადრისაგან. არამც თუ სარგებელი მიუცია, თვით გადაცემული თანხაც კი მიუთვისებია, არჩეული პირებიც ჩამოუშორებია. ამის გარდა—კავშირიდან მიღებული საქონელი მთლათ კერძო მოვაჭრეებზე უსაღებია. როდესაც ერობიდან მიღებული შაქარი ყაზბეგში 50 მანეთათ გაუყიდია გირვანქა, მაშინ კი სიონელებს მიუმართავთ რაიონულ კომისარისათვის და უკანასკნელს ჩამოურთმევია მოიჯარადრისაგან ბეჭედი, დავთრები და ამ რიგათ მოუსპიათ მისთვის საშვალება კოოპერატივის ფირმით სარგებლობისა.

მოვიწვიე კრება, რომელზედაც 20-დე კაცი გამოცხადდა. კრებაზე დამსწრეთა სიმცირის მიუხედავათ დიდი აურ-ზაური ასტყდა. ამას ხელს უწყობდა „ბახუსიც“ და კოოპერატივის საქმე ძველს მდგომარეობაში დარჩა. სიონშიც მოიპოვება კოოპერატივში მუშაობისთვის მომზადებული პირები, მაგრამ ესენი ან ლოთები არიან, ან და სპეკულიანტები—შინაური მოვაჭრენი. ამრიგათ აქაც ძლიერ საეჭვოა კოოპერატივის არსებობა-განვითარება. ასეთივე გარემოებაა სოფელ სნოშიც. ამისთვის ამის შესახებ აღარას ვიტყვი.

**სოფელი გერგეთი.** კოოპერატივის გახსნის შესახებ სოფელ გერგეთის მცხოვრებთ შემდეგი ხასიათის განაჩენი გამოუტანიათ:

„კრებამ ერთხმად დაადგინა—რადგანაც სუყველა კუთხეებში და სოფლებში გამრავლდენ სხვა და სხვა სპეკულიანტები და ჩარჩები და სოფლის მცხოვრებნი ძლიერ კრიტიკულ გარემოებაში არიან ჩავარდნილნი და დიდს ძარცვა-გლეჯას განიცდის საწყალი ხალხი ზემო-ხსენებულის სპეკულიანტებისაგან და ჩარჩებისაგან, ამისათვის კრებამ ერთხმათ დაადგინა: 1. სპეკულიანტების თავიდან მოსაშორებლად უნდა დავაარსოთ სოფელ გერგეთის მომხმარებელი საზოგადოება, ე. ი. კოოპერატივი. 2. ამოვირჩიოთ მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა. 3. რა ვუწოდოთ სახელად მომხმარებელ საზოგადოებას? კრებამ ერთხმათ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:—დღეიდან უნდა იქმნეს გახსნილი კოოპერატივი გერგეთის მომხმარებელი საზოგადოება და სახელად ეწოდოს შემდეგი:—ს. გერგეთის მომხმარებელი საზოგადოება „ერთობა“. აი სიტყვა-სიტყვით ამონაწერი ხსენებულ კოოპერატივის დამფუძნებელ კრების ოქმიდან.

არც წესდება ყოფილა განხილული, არც საპაიო გადასახადის რაოდენობაა აღნუსხული და განსაზღვრული, არც პასუხის-მგებლობის შესახებაა რაიმე დადგენილება და სხვა აუცილებელი კითხვებიც არაა გამორკვეული. ფაქტიური დამაარსებელნი კოოპერატივისა 5—7 პირისაგან შესდგება და პირადის შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ მათი მიზანი სრულებით ის არაა, რაიც ზემოდ მოყვანილ ოქმშია ნაჩვენები, არამედ ერთად ერთი სტიმული მოგებისადმი მისწრაფებაა.

სულ დღევანდლამდე ჩაწერილა 21 წევრი. თუმცა ოქმში არაა ნაჩვენები პაის ღირებულება, მაგრამ სიტყვიერი პირობით პაი ღირს 2000 მანეთი. 21 წევრს შეუტანიათ თვითეულს 2000 მან. საპაიო და სესხად 5—15 ათას მანეთამდე. სულ შემდგარა ამ რიგათ 88800 მანეთი. როდესაც მე მივუთითე, რომ ასეთი დიდი პაის შეძენა ყველას არ შეეძლება და, მაშასადამე, ეს დაწესებულება არ იქნება კოოპერატიული მეთქი, კოოპერატივის მესვეურებმა მიპასუხეს:—ხალხი დაშინებულია და ფულს არ შემოიტანენო, მეორეს მხრივ კიდევ რომ გაიფლანგოს ან სხვა ზარალი მოუვიდეს სავაჭროს, მაშინ დიდი თანხის შემომტანი მეტს იზარალებსო და ამის გამო ვისაც აქ დაბანდებული აქვს თანხა, უკანვე გაიტანსო. მე განუმარტე, რომ თუ კოოპერატივის სახელი გსურთ ატაროს თქვენმა ორგანიზაციამ, პაის ღირებულება 50—100 მანეთზე მეტი არ უნდა დააწესოთ და პასუხის-მგებლობაც უნდა განსაზღვროთ მეთქი. ინსტრუქციების მიცემის შემდეგ, კოოპერატივის ხელმძღვანელნი შემპირდნენ მიღებულ რჩევის განხორციელებას.

ჩემს მისვლამდე არც ანგარიშის წარმოება იყო შემოღებული, დავთრები კი კავშირიდან შეეძინათ. მე შევასწავლე უმთავრესი ოპერაციების ჩაწერა მიწვეულ მოანგარიშეს და წიგნების წარმოებას შეუდგნენ.

აქაც იგივე გარემოება უშლის ჭეშმარიტ კოოპერატივის განვითარებას, რაიც საზოგადოთ ხევში: თითქმის მთელი სოფელი ვაჭრობით ცხოვრობს და სპეკულიანტური მიდრეკილებისაა. დიდი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობაა საჭირო, რომ ახლად დაარსებული ამხანაგობა კოოპერატიულ ნიადაგზე მოეწყოს და ამ ნიადაგს შერჩეს. ჯერ კოოპერატივს არა აქვს წესდება; არაა იგი საოლქო სასამართლოს რეესტრში შეტანილი და, ამის განხორციელება კავშირმა უნდა ითავოს და დააჩქაროს, წინაალმდეგ შემთხვევაში რაიონულ კოოპერატიულ კავშირს უფლება არა აქვს ურთი-ერთობა იქონიოს ისეთი ტიპის დაწესებულებასთან, როგორიცაა მერგეთის მომხმარაბელი საზოგადოება „ერთობა“ და ყაზბეგის არტელი. ყოველივე ზემოდ ნათქვამიდან ირკვევა, რომ მთელ მთიულეთში და ხევში ე. ი. სოფ. ანანურიდან სოფელ ყაზბეგამდე, რაიც დუშეთის საგრძნობ ნაწილს წარმოადგენს, მხოლოდ ერთი კოოპერატივი-ღა არსებობს—ფასანაურში და კობში, დანარჩენ ადგილებში ან სრულიად მოისპო, ან შეიცვალა რამდენიმე პირთა სააქციონერო კომპანიათ, ან სრულებით მოკლებული არიან კოოპერატიულ სახეს, და შინაარსს. ამ არა ნორმალურ მდგო-

5 149 1919.

არეობის წამალი ჩემის აზრით ორი საშვალებაა: —ფართე აგიტაცია-პროპაგანდა კოოპერატიულ იდე-ბისა მთიულეთის და ხევის სოფლებში, შესაფე-რის პირთა გაგზავნა რაიონულ კავშირის მიერ ად-გილობრივ მუშაობისთვის, და მეორე—რაიონულ კავ-შირის განყოფილებების გახსნა სოფ. ყაზბეგში, სი-ონში, სნოში, და მლეთში. ამასთანავე ეს განყო-ფილებები კოოპერატიულ საზოგადოების მზგავსი უნდა იყვეს.

თუ ადგილობრივ ინიციატივით ვერ მოხერხ-და კოოპერატიულ მოძრაობის აღორძინება, მეორე გზა ერთად ერთია დუშეთის მაზრის მოზრდილ ნა-წილში კოოპერაციის ჩახშობის თავიდან აცილებისა და კოოპერაციის პრესტიჟის აღდგენისა.

განსაკუთრებული მომენტი უდგება კოოპერა-ციას და განსაკუთრებული ზომების მიღება, განსა-კუთრებულ გზების გამოძებნაა საჭირო.

კოოპერაცია განსაცდელშია!

**მ. მაისურაძე.**

---

# ქრონიკა.

✦ **ქალაქ ტფილისის სასანიტარო გადასახადი და კოოპერატივები.** ტფილისის კოოპერატივებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის თვითმართველობის წინაშე კოოპერატივების სასანიტარო გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ. შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს მიერ უარყოფილი იქმნა და ამგვარად კოოპერატივები კერძო სავაჭროებთან ერთად დახარკული იქმნა გადასახადით.

✦ **ამიერ კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს** დროებით პრეზიდიუმმა ამას წინად მოიწვია პრეზიდიუმის წევრთა და კოოპერატიულ მოღვაწეთა საგანგებო კრება. კრებას დაესწრო აგრეთვე ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პროფეს. ს. ლ. ავალიანი. კრებამ საჭიროდ სცნო საბჭოს წევრთა მოწვევა სექტემბრის 14. ამ კრებაზე მოწვეულ იქმნებიან სომხეთის, ადერბეიჯანისა და საქართველოს კოოპერატივთა წარმომადგენელნი. ამავე კრებამ უნდა დაამტკიცოს საბჭოს საქმეთა მწარმოებელიც თვის თანამდებობაში. გარდა ამისა კრებამ საჭიროდა სცნო დაარსება საკუთარი ორგანოსი, რომელიც კოოპერატიულ აზრს გააღრმავებს და ამავე დროს შექმნის კოოპერაციის გარშემო საღ ატმოსფერას. ორგანოს ხელმძღვანელობა საგანგებოდ არჩეულ კოლეგიას მიენდო. კოლეგიის წევრებად არჩეულ იქმნენ: შ. გოგებაშვილი ივ. ცაგარელი და ა. მლაშევსკი, ხოლო მდივნად პ. დადვაძე.

✦ **ასანთის (სპიჩკის) ქარხანა.** ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს მორიგ საქმეთ დასახული აქვს ასანთის ქარხნის მოწყობა. ამ საქმეზე საჭირო მანქანების დასათვალიერებლად და შესაძენად უკვე გაემგზავრა ბათომში კავშირის ინჟენერი ბ-ნი ივანე ჩხენკელი.

✦ **ძეხვის ქარხანა**. პირველ სექტემბრიდან განაახლებს მუშაობას ამ. კავკ. კოოპ. კავშირის ძეხვის ქარხანა. მოკავშირე კოოპერატივებს უკვე შემოაქვთ ავანსები და იკვეთენ ძეხვებს.

✦ **თელავის ქალაქის თვითმარველობა და კახეთის კავშირი.** კახეთის კავშირის გამგეობას შეუძენია თავის საჭიროებისათვის ქ. თელავში სახლი. გამგეობას სახლის პატრონთან სყიდვის ყოველივე საქმე მოუგვარებია. საქმის დასაბოლავებლათ საჭირო ყოფილა ქალაქის გამგეობის სახლის შეფასების მოწმობა, რასაც იგი არ აძლევს კავშირს. როგორც ირკვევა, უარის თქმა მოწმობის მიუცემლობაში იმით აიხსნება, რომ ქალაქს განუზრახავს შეცილება კავშირის მიერ შეძენილ სახლის სყიდვაში.

✦ **სომხეთის ცენტრალური კოოპერატივთა კავშირი**. დაარსდა სომხეთის ცენტრალური კოოპერატივთა კავშირი სახელწოდებით „აიკოპი“, რომელიც აერთებს არარატის რესპუბლიკაში არსებულ ყველა კოოპერატივებს.

✦ **ინსტრუქტორების მოწვევა.** ზესტაფონის სარაიონო კავშირმა თავისი ხარჯით მიიწვია ორი ინსტრუქტორი-მოანგარიშე ლუტიძე და ცაგურია·

✦ **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.** ლორის სარაიონო კავშირის (ბორჩალოს მაზრა) რწმუნებულთა კრებას დაუდგენია შეიძინოს საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციები.

ნატანების კავშირს გადაუწყვეტია ამავე ბანკის ორ-ორი აქციის შეძენა თვითეულ მოკავშირე კოოპერატივისათვის.

✦ **კოოპერატივთა საყურადღებოთ.** არა ერთხელ აღგვინიშნავს „კავშირში“, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერ. კავშირი ცალ-ცალკე კოოპერატივებს, რომლებიც შედიან სარაიონო კავშირში, საქონელს არ აძლევს. ასეთი კოოპერატივები საქონელს უნდა ღებულობდენ თავიანთ სარაიონო კავშირების საშუალებით. რადგანაც ამისდა-მიუხედავათ ცალკე კოოპერატივები მაინც განაგრძობენ წარმომადგენლების გზავნას ტფილისში საქონლის მისაღებათ, ამიტომ კოოპერატივების გამგეობათა საყურადღებოთ ვაცხადებთ:—წარმომადგენლებს ნუ გამოგზავნიან ტფილისში საქონლის მისაღებათ ამიერ-კავკასიის კავშირიდან და ნუ გასწევენ ტყუილა უბრალოდ ხარჯებს, რადგანაც ასეთ კოოპერატივებს ცენტრალური კავშირი საქონელს არ აწვდის პირდაპირ, არამედ სარაიონო კავშირების საშუალებით.

ტფილისი. სტამბა ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირისა. პლეხანოვის პრ. 71.